

**პეტრე ქვეძაპე**

**რკინიგზების ტექნიკური აღმუნებილობისა  
და ექსპლუატაციის ზოგადი კურსი**

**თბილისი - 2015**

## **უაპ 6562.075**

განხილულია რეინიგზის ექსპლუატაციის ფუნდაციების ური საკითხები და მის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური საშუალებები; აღწერილია რეინიგზის მრავალდარგოვანი მეურნეობის ცალკეული დარგის ფუნქციონ-ირების სტრუქტურულ-ტექნოლოგიური მოდელები და მა-თი დამსხასათვებელი უმნიშვნელოვანების საექსპლუატაციო პარამეტრები; მოყვანილია გადაზიდვითი პროცესის განხორციელების ძირითადი პრინციპები.

ნაშრომი განკუთვნილია პროფესიული და საბაკალავრო სწავლების სტუდენტებისათვის. ის შეიძლება გამოიყენოთ როგორც მაგისტრანტებს, ასევე პრაქტიკოს რეინიგზებისა და მათ დარგით დაინტერესებულ პირებს.

**რეცენზენტების პროცესის წესრიგი,**  
ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე ლუკაძა

გესავალი

თანამედროვე პირობებში სატრანსპორტო სისტემის  
ხელისუფალი მუშაობა საფუძველია ნებისმიერი ქვეყნის  
ეკონომიკური სიმღერის აღმასრულითა. აქედან გამომდი-  
ნარებ, პროგრესი ტრანსპორტზე არის ცივილიზაციული მს-  
ოფლითს განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

XXI საუკუნის დასტყიში რენოზზე ტრანსპორტი  
გამოცვლებულია მსოფლიოს სეთივე კონტინენტებზე და  
უუნიკონირებს დაახლოებით 140 კვადაში. მოუხედა-  
ვად იმისა, რომ დიდი კონტარენცია ტრანსპორტის სხვა  
სახეობის მსრიდნის, რენოზზე სარჩევასრიც უმნიშვნე-  
ლოვანების უფრიავს სამზღვევლი და სოფლის  
მუშაობის ტერიტორიას გადაზიდვასა და მგზავრობას  
გადაუვინის საქმეში. ტრანსპორტის სხვა სახეობებთან  
შედრებით იგი მუშაობს წლის ნებისმიერ დროს, დღი-  
სთ და დამთ, განურჩევლად კლიმატური და მეტორო-  
ლოგიური პირობებისა.

სარკინიგზო ტრანსპორტის სტაბილური მუშაობა  
მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის მნიშვნელოვანია ტექნიკური და ტექნოლოგიური ძალა, რომელ შიც უკრავდას ყოვლისა თელესისმებრა რკინიგზის ტექნიკური აღჭრების დროს და მასთან დაკავშირდება უსწყებელი ფინანსური და ლიანდაგი და მისი სიმძლავრი, ენერგომომარაგება, მოძრავი შემადგნელობა, საღაზრთა მუშაობა, რკინიგზის გამტარ და გადაზიდვის სურათიანობა, მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაცია, რეგულირების სისტემები, გადაზიდვითი პრიცესის მართვა და სხვ.

“ენდა აღინიშნოს, რომ რეინიგზის წარმატებული  
ფაქტიციონირების ერთ-ერთი აუკილებელი ფაქტორი, გა-  
რდა ზემოთ აღინიშნულისა, არის დარგში მომუშავე სპე-

ციალისტების მადალი პროფესიონალიზმი. რეინიგზის ნებისმიერი მუშავი მადალ ღონებები უნდა ფლობდეს თავისი დარგის სპეციფიკას, სრულყოფილად უნდა ერკევოდეს შესასრულებელ ფუნქციებში, ზუსტად ასრულებდეს დაკასრებულ მოვალეობებს.

რეინიგზის ტრანსპორტის ურთულესი, მრავალდარგოვანი მეურნეობის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქ მომენტები ცალკეული რგოლის ხელმძღვანელ მუშავებს უჭირავთ. მათ ცოდნაზე, გამოცდლებასა და კვალიფიკაციაზე დამოკიდებული რეინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვითი პროცესის წარმატებული და უსაფრთხოები განხილულია. თავიანთი მოვალეობის ფარგლებში აღნიშნულ მუშავებს აკისრიათ ისეთი საასუსტებებების საქმე, როგორიც მატარებელთა მომრაობის ორგანიზაციის განხორციელება და მომრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

კოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თითოეულმა მუშავმა ზედმეტვნით უნდა იცოდეს მატარებლის უსაფრთხო მომრაობასთან დაკავშირებული დებულებები “საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა” და “საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტზე მატარებლების მომრაობისა და სამანევრო მუშაობის ინსტრუქციის” მიხედვით, ასევე შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მნიშვნელოვანი საკითხები. გარდა აღნიშნულისა, მადალ ღონებები უნდა ერკევოდეს გადაზიდვითი პროცესთან დაკავშირებულ მეზობელი დარგების სტრუქტურასა და სპეციფიკაში.

## **1. ზოგადი ცენტრის საქართველოს სარაინიგზო ტრანსპორტის შესახებ**

**1.1. საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემა.**  
რეინიგზის ტრანსპორტის როლი ქვეყნის სატრანსპორტო  
სისტემაში, მისი სახლმწიფო უძრიგი მნიშვნელობა და  
პროდუქცია

ჩვენს ქვეყანაში ტერიტორიის გადაზიდვა და მგზავრთა  
გადაყვანა ხდება ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობით,  
რომელიც საბოლოო ჯამში ქმან ქვეყნის სატრანსპორტო  
რტო სისტემას. დღვენდელ მსოფლიოში ტრანსპორტი  
იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: მაგისტრალური ანუ საგა-  
რეო, სამრეწველო ანუ შიგა საწარმოო და საქალაქო.

**მაგისტრალური ტრანსპორტი** ამჟარებს სატრან-  
სპორტო კავშირს მატერიალს, ქვეწებს ან ქვეწის ცალ-  
კელ რეგიონებს შორის; მას მიეკუთვნება: სარეინიგზო,  
საავტომობილო, საჰაერო, საწყლოსნო (სამდინარო და  
საზღვაო), მილსადენი და მაღალი მაბეჭის გადამცემი  
ხაზები. საქართველოში ფუნქციონირებს კველა სახის  
ტრანსპორტი, გარდა სამდინაროს.

**სამრეწველო ტრანსპორტი** უზრუნველყოფს გადაზ-  
იდვებს დღის წარმოებისა და უწყებების ტერიტორიაზე  
ან აკავშირებს მათ მაგისტრალურ ტრანსპორტან. მას  
მიეკუთვნება: ნორმალური და ვიწროლიანდაგიანი რეინიგ-  
ზები, საავტომობილო ტრანსპორტი, ცალკელ შემთხვევ-  
ებში სამდინარო ტრანსპორტიც, სხვადასხვა სახის კონკრ-  
ეტურები, საბაგირო გზები, სხვადასხვა მოწყობილობები  
და დინადგარები და სხვ.

**საქალაქო ტრანსპორტი** ახორციელებს მგზავრთა  
ტრანსპორტირებას ქალაქის ტერიტორიაზე. იგი შეიძლება  
იყოს მიწისზედა და მიწისქვეშა. საქართველოს პირობე-

პში მიწისზედა ტრანსპორტს მიეკუთვნება: საბაგირო გზები, ავტოზუსები, მიტროავტოზუსები, მსუბუქი ტაქსომარკი, მიწისქვეშას – მეტროპოლიტენი; იგი ფუნქციონირებს მხოლოდ დედაქადაქში, თბილისში.

საქართველოს რეინიგზის დაარსების ოფიციალურ თარიღად მიჩნეულია 1872 წლის 10 ოქტომბერი, როდესაც ფილიან თბილისში პირველი მატარებელი ჩამოვადა. საქართველოს რეინიგზა სვერ ქვეყანას აკაგმარებს მეზობელ ქვეყნებთან. თვითონ ქვეყნის შიგნით, დიდია სარეკინგზი ტრანსპორტის როდი; მისი განშტრებები და ხაზები შედის თომქმის ყველგან, გარდა რამდენიმე მთიანი რაიონისა და ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებს ერთმანეთთან აძაგშირებას. რეინიგზის ტრანსპორტით ძირითადად გადაიზიდება მასობრივი ტვირთები, რის გამოც იგი ხასიათდება მაღალი გადახილის უნარით.

საქართველოს გეოსტრატეგიული მდგრმარეობის გათვალისწინებით, მის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანები ადგილი უჭირავს სატრანზიტო გადაზიდვებს, რადგან უმოკლესი გზა ევროპასა და აზიას შორის საქართველოს ტერიტორიაზე გადის; ამასთან, საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, უმოკლესი გზით, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის გავლით შეუძლიათ თავიანთი ტვირთებს გატანა შავი ზღვით ევროპაში. ამ კუთხით უდიდესია საქართველოს სარეკინგზო ტრანსპორტის სახელმწიფოურივი მნიშვნელობა.

სხვა დარგებისაგან განსხვავებით სატერიტო ტრანსპორტი, ისვევ როგორც ტრანსპორტის ნებისმიერი სახეობა, არ ქმნის ახალ პროცესებს; მისი პროცესიაა გადაზიდული ტვირთები და გადაყვანილი მგზავრები შესაბამის მანძილებზე, რომელთაც სატრანსპორტო

**ტერმინოლოგიით ტერმინურა და მგზავრმარცვა  
ეწოდება.**

**12. საქართველოს რეინიგზის ტექნიკური აღჭურვილობა.  
საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის მმართველობის  
სტრუქტურა**

დღეს საქართველოს რეინიგზის საექსპლუატაციო სი-  
გრძე<sup>1</sup> დახსლოებით 1600 კმ-ია. საქართველოს რეინიგზის  
მთლიანად ელექტრიფიცირებულია. სამატარებლით მუშა-  
ობა ხორციელდება მუდმივი დენით, რომელის ძალაც სა-  
შეადლოდ 3000 კოდრია. ცენტრალური მიმართულების  
რეინიგზის ლიანდაგი აღჭურვილია რ-65 ტიპის რელ-  
ებით<sup>2</sup>. ხოლო სასადგურო და მეორესარისხოვანი ლია-  
ნდაგი – რ-50 ტიპით. გადასარტყის უმეტეს ნაწილზე  
დაგებულია ხის შპალები, ხოლო დანარჩენზე – რეინა-  
ბეტონის. ცენტრალურ მიმართულებაზე (გარდაბანი-თბილისი-ხაშური-ხესტაციონი-სამტკრედია) საექსპლუატაციო  
სიგრძის დახსლოებით 300 კმ ორლიანდაგიანია (უმნიშ-  
ვნებული გამონაკლისით), ხოლო დანარჩენი – ერთდანდა-  
გიანი. წევის საშეადგებად, როგორც სატვირთო, ასევე სა-  
მგზავრო მოძრაობაში გამოიყენება თბილისის ელმა-  
კალმშენებელი ქარხნის (ოქმე) მიერ გამოშვებული მუდ-  
მივი დენის ელმავლები, როგორც რვადერძიანი ორი  
სექციით, ასევე ოთხერძიანი ერთი სექციით. სამანევრო  
მუშაობაში იყენებენ სამნევრო თბილისვლებს.

საქართველოს რეინიგზის ქსელზე განლაგებულია  
დაბალოებით 140 სადგური, რომელთა უმრავლესობა აღ-  
ჭურვილია მაღალი ძალით, რაც მოხერხებულს ქმნის

1 - რეინიგზის **საექსპლუატაციო სივრცე** ეწოდება ორ მეზობელ  
სადგურს შორის მანივლს რეინიგზით, დამატებითი მთავრი  
და სასადგურო ლიანდაგების ჩაუთვლელად, მთელი ქსელის  
მასშტაბით.

**2 - რეკონს ტიპი** რ-65 ნოშავეს ამ ტიპის 1 გრძივი მეტრი  
რელისის წინას კლოზრამებული.

მგზვრთა ჩასხდისა-გადმისს დღომას. გარდა სადგურებისა, რეინიგზის ქაულზე განლაგებულია ასევე სალოკომოტივი და სავაგონო დეპოები, სალიანდაგო, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის, ენერგომომარაგების დისტაციები (დღვანებული სტრუქტურით მათ უწოდებენ სამმართველოს), სალიანდაგო-სამანქანო სადგურები.

სატერიტო მომრავი შემძღვენდლობის პარკი შედგება თოსტევრმანი ვაგონებისაგან. მათი აპსელური უმრავლესობა აღდგნილი და განახლებულია. სამგზვრო გაძახილებული ფუნქციონირებს ასევე განახლებული და აღდგნილი სამგზვრო ვაგონები, ხოლო საგარეუპნო მიმოსვლაში – ელექტრომატარებლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მოხდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მეტყველი ვაგონების ბაზაზე რიგორც სატერიტო, ასევე სამგზავრო-სავაგონო პარკის ინვეცია. ამაღლდა მათი საექსპლუატაციო საიმეჯორიბა; სამგზავრო ვაგონები აღიჭურვა თანამედროვე დაზაინით; შეიცვალა ვაგონის სალონის ქონსტრუქცია, გათხობისა და კონფიგურების სისტემები. ადგილობრივი ძალებით მოხდა რამდენიმე საგარეუპნო მატარებლის რეკონსტრუქცია-განახლება, შემცნიდ იქნა ახალი ელექტრო- და დიზენტაბარებლები. ქალაქ რუსთავში ფუნქციონირება დაიწყო ვაგონმშენებელმა ქარხანამ, რომელიც უკვე აწარმოებს სერიულ პროდუქციას.

სარინიგზო ტრანსპორტი არის ურთელევი, მრავალდარგოვანი მეურნეობა. იგი აერთიანებს სხვადასხვა სახის საწარმოსა და დაწესებულებების. მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე რეინიგზის განლაგებით, მატარებლების მოძრაობის რეგულირების უზრუნველყოფითა და სარკინიგზო

მეურნეობის კველა რეოლის ურთიერთშეთანხმებული მუშაობით, სარკინიგზო მმართველობის სტრუქტურაც სპეციფიკურია. სარკინიგზო ტრანსპორტის მართვა აგრძელია ტერიტორიულ, დარგობრივ და ფუნქციურ პრინციპების მიხედვისათვის.

**ტერიტორიულ პრინციპი** იგულისხმება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განლაგებული სარკინიგზო ქვედანაყოფების კორპორაციული მართვა.

**დარგობრივი პრინციპი** ითვალისწინებს ცალკეული დარგის ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას.

**ფუნქციურ პრინციპი** იგულისხმება კონკრეტული ქვედანაყოფი, რომელიც წევის ცალკეულ სპეციფიკურ საკითხს ადგილზე, ზემდგომი ორგანოს გარეშე.

საქართველოს რეინიგზის ტრანსპორტის მმართველობის სტრუქტურული სქემა ნაჩვენებია 1.1 ნახ-ზე.

პირველი საფეხური -

საქართველოს მთავრობა

მეორე საფეხური -

სს “საქართველოს რეინიგზი”

მესამე საფეხური -

რეინიგზის ინფრასტრუქტურა -

სახაზო ქვედანაყოფები


ნახ.1.1. საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის  
მმართველობის სტრუქტურული სქემა

პირველ საფეხურზე დგას საქართველოს მთავრობა, სადაც წყდება რეკინგზის ფუნქციონირებისა და განვითარების გლობალური საკითხები და გენერალური მიმართულებები. მეორე საფეხურზე დგას სააქციო საზოგადოება (სხ) “საქართველოს რეკინგზის” ხელმძღვანელობა, რომელიც რეკინგზის კოველდლიურ მუშაობას კოორდინირებას უწევს, გამოსცემს სათანადო ინსტრუქციებს, ბრძნებებს, განკარგულებებსა და მოთხოვებებს. ბოლო, მესამე საფეხურზე განლაგებულია რეკინგზის ინფრასტრუქტურა ანუ სახაზო ქადაგიაუთვებები – სადგურები, სატვირთო ეზოები, მისასვლელი ლიანდაგები, დეპოები და სხვ.

### 13. საქართველოს რეკინგზის ქსელი და მისი საზღვრები

საქართველოს რეკინგზის ძირითადი, პირველხარისხოვნი ხაზებია: გარდააბანი-თბილისი, თბილის-ხაშური-ხესტაფონი-სამტრევისი, სამტრევია-პათუში, სამტრევია-ხენაკი-ფოთი, სენაკი-ინგირი-ოჩამჩირე-ხოსუმი-განთიადი, თბილისი-ხადახლო მეორეხარისხევან უბნებია და შტოებს მიეკუთვნება ნატანები-ოზურგეთი, ოჩამჩირე-ტყვარჩელი-აკარმარა, ინგირი-ზუგდიდი-ჯვარი, ბროჭეულა-წყალტუბო, რიონი-ქუთაისი-ტყიბული, ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერე (ადნიშნული უბნები ვანლაგებულია ქვეყნის დასავლეთ ნაწილში); ხაშური-სურამი, ხაშური-ბორჯომი-ახალციქ-ვალე, ბორჯომი-ბაკურიანი (ვიწოდლიანდაგიანი), გორი-ცხინვალი, თბილისი-კაჭრეთი-გურჯაანი-თელავი, გურჯაანი-წნორის წყალი, კაჭრეთი-დედოფლისწყარო,

მარაბდა—ახალქალაქი, მარნეული—კაზრეთი (აღნი-  
შნული უბნები განლაგებულია ქვეყნის აღმოსავლეთ



საბაროულოს რენტის გეოგრაფია

ნაწილში). საქართველოს რკინიგზის სქემა ნაჩვენებია 1.2 ნახ-ზე.

იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს ამა თუ იმ რკინიგზისათვის ოპერატორი მოქმედების დია-პაზონი, ასევე გზის მიერ შესრულებული მუშაობა, ყოველ რკინიგზას აქვს თავისი საზღვრები.


საქართველოს რკინიგზას ესაზღვრება სამი მფ-ზობელი ქვეყნის რკინიგზა (უახლოეს მომავალში მათ რიცხვს დაემატება თურქეთი): ჩრდილო-დას-ავლეთიდან – რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-კავ-კასიის რკინიგზა, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – აზე-რბაიჯანის რკინიგზა და სამხრეთიდან – სომხეთის რკინიგზა. რუსეთის (ჩრდილო-კავკასიის) რკინიგზის პირაპირზე რუსეთის მხრიდან პირველი სადგურია „კესონილი“, ხოლო საქართველოს მხრიდან – „გან-თიადი“. სადგურ განთიადიდან საქართველოს სახე-ლმწიფო საზღვრამდე მანძილი 6კმ-ია; აზერბაიჯანის საზღვარზე აზერბაიჯანის მხრიდან პირველი სად-გურია „ბეიუკ-კასიერი“, ხოლო საქართველოს მხრ-იდან „გარდაბა-ჩი“. გარდაბნიდან სახელმწიფო საზ-ღვრამდე მანძილი 9კმ-ია; სომხეთისა და საქართვე-ლოს რკინიგზების პირაპირზე სომხეთის მხრიდან პირველი სადგურია „იორუმი“, ხოლო საქართველოს მხრიდან „სადახლო“. მანძილი სადახლოდან სახელ-მწიფო საზღვრამდე შეადგენს 9 კმ-ს.

## **2. რეინიგზის დიალეკტი**

### **2.1. გაბარიტი**

გაბარიტი არის ცნება, რომელიც განისაზღვრება რეინიგზის ლიანდაგებს შორის დაშორებითა და რკინიგზის ლიანდაგის მიმართ სადგურებსა და გადასარჩნებზე სხვადასხვა მოწყობილობისა და დანალგარის (სიგნალი, საკონტაქტო ქსელის ანა, სატვირთო საწყობი, ბაქანი, სამოსამსახურო ნაგებობა და სხვ) განლაგებით. რეინიგზის ტრანსპორტზე ასხვავებენ გაბარიტის სამსახურს: ნაგებობათა მიახლოების, მოძრავი ჟემადგენლობისა და დატვირთვის გაბარიტს. აქედან, პირველი ორი, გამოიყენება რეინიგზის ტექნიკურ ექსპლუატაციაში, ხოლო დატვირთვის გაბარიტი – რეინიგზის კომუნიკაციულ ექსპლუატაციაში.

**რეინიგზის ნაგებობათა მიახლოების გაბარიტი** ეწოდება დაიანდაგის დერმის მიმართ განივ, პერპენდიკულარულ, ზღვრულ მოხაზულობას, რომლის შიგნით მოძრავი ჟემადგენლობის გარდა, არ უნდა ჟედიოდეს არაფითარი ნაწილი ნაგებობისა და მოწყობილობისა, გარდა იმ ნაწილებისა, რომელიც უშეალოდ ეკონტაქტება მოძრავ ჟემადგენლობას (ნახ. 2.1). რეინიგზის ნაგებობათა მიახლოების გაბარიტს აღნიშნავენ „C“ ასოთ. 2.1 ნახ-ზე მოყვანილი I-II-III მოხაზულობა გათვალისწინებულია სადგურისა სადგურისა და გადასარჩნების იმ ლიანდაგებისათვის, სადაც მატარებლები არ დგებიან. Ia-IIa-IIIa-IVa მოხაზულობა გათვალისწინებულია სხვა დანარჩენი სასადგურო ლიანდაგისათვის. 6900/6750 მმ ნიშავებს გაბარიტის სიმაღლეს ედემტრიულიცირებულ სადგურში; 6400/6250 ნიშავეს იგივეს, ედემტრიულიცირებულ გადასარჩნევ, ორივე ჟემთხვევაში მრიცხევლში ნაწვენებია




ნახ. 2.1. ნაგებობათა მიახლოების გაბარიტი „C“

გაბარიტის სიმაღლე, როცა საკონტაქტო სადენი დამაგრებულია დამჭერ ბაგირზე, ხოლო მნიშვნელო – დამჭერი ბაგირის გარეშე: 5500 – გაბარიტის სიმაღლეა ისეთ უბანზე, რომელიც არ არის ელექტროფიცირებული; 3200 – უშუალოდ ლიანდაგის გასწვრივ განლაგებული შენიბის, ნაგებობისა და მოწყობილობის დასაშვები სიმაღლეა; 1100 – მაღალი ბაქის სიმაღლე; 200 – დაბალი ბაქის სიმაღლე; 1070 – მოაჯირის სიმაღლე ხიდზე, ესტაკადასა და სხვა მსგავს ნაგებობაზე; 1020 – მანძილი ლიანდაგის დერძიდან გაბარიტის ზედა მოხაზულობის წიბომდე ელექტროფიცირებულ უბანზე; 1600 – იზივე, არაელექტროფიცირებულ უბანზე; 2450 – მინიმალური მანძილი ლიანდაგის დერძიდან შუქნიშნის, განათვების ან საკონტაქტო ქსელის ანამდე და სხვა მსგავს ნაგებობამდე; 3100 – მინიმალური დაშორება ლიანდაგის დერძიდან იმ

ნაგებობამდე და მოწყობილობამდე, რომელიც უშუალოდ ლიანდაგის გასწვრივაა განლაგებული; 1920 – მანძილი ლიანდაგის დერმიდან მაღალ ბაქნამდე; 1745 – იგივე, დაბალ ბაქნამდე; 760 – მანძილი ლიანდაგის დერმიდან რელსის მუშა ქიმამდე; 4100 – მინიმალური დაშორება ლიანდაგის დერმიდან მკორე მთავარი ლიანდაგის დერმამდე.

**რეინიზზის მოძრავი შემაღებულობის გაბარიტი**  
ეწოდება ლიანდაგის დერმის მოძრავ განივ პერპენდიკულარულ ზღვრულ მოხაზულობას, რომელშიც გარეთ გამოუსვლელად უნდა მოთავსეეს სწორ, პირიზინგალურ ლიანდაგზე დაჭენებული ცარიელ და დატვირთულ მდგომარეობაში მყოფი მოძრავი შემაღებულობა (ნახ. 2.2).




ნახ. 2.2. მოძრავი შემაღებულობის გაბარიტი

მოძრავი შემაღებულობის გაბარიტს აღნიშნავენ „T“ ასოთი. ვარდა T გაბარიტისა, არსებობს კიდევ გაბარიტი L-T, 01-T, 02-T და 03-T. კველა აღნიშნული გაბარიტი წარმოადგენს T გაბარიტის სახესნაობას სათანადო ზომებით და გამოიყენება შესაბამისად საქართველოს რკი-

ნიგზავნება, საქართველოს და ეკონომიკური რეკონსტრუქციული საქართველოს, ეკონომიკური და აზის რეკონსტრუქციები (02 და 03-T).

**დატვირთვის გაბარიტი ეწოდება ლიანდაგის დერძის მიმართ განვითარებულ მოხაზულობებს, რომელშიც გარეთ გამოუსვლელად უნდა მოთავსდეს სწორ, პირიზონტალურ ლიანდაგზე მდგარ და შემაღლებულობაზე განლაგებული ტყირთი დამაგრებისა და შეფუთვის გათვალისწინებით (ნახ. 2.3).**



ნახ. 2.3. დატვირთვის გაბარიტი

როგორც აღვნიშნეთ, დატვირთვის გაბარიტი გამოიყენება კომერციულ მქანებლებაზეც ში, ვაგონზე განთავსებული ტყირთის გაბარიტული ზომების არსებულ ნორმებთან შესაბამისობის დასადგენად.


## 2.2. რეინიგზის ტრასა, გეგმა და პროფილი

ახალი რკინიგზის მშენებლობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: ახალი კუთხომიქური რაიონის ათვასება, არსებული ტვირთდაბაზული უბნის განტვირთვა, ტრანსპორტული გადის შემცირება.

**რეინიგზის ტრასა** ეწოდება მშენებარე ხაზის ლიანდაგის დერძის გრძივ მდებარეობას სივრცეში. ტრასის პროექციას პორიზონტალურ სიბრტყეზე ეწოდება **გეგმა**. ხოლო მის გეგმილს ვერტიკალურ სიბრტყეზე – **პროფილი**. რკინიგზის ტრასის დაპროექტებას ტრანსიული ეწოდება, დოკუმენტია, რომ ახალი რკინიგზის ტრასირება სახურებისა და სწორაზოვანი გეგმითა და მინიმალური ქანობებით წარმართულიყო, მაგრამ ხშირად რელიეფი არ იძლევა ამის საშუალებას (მდინარე, ჭაობი, ტბა და სხვ), ამიტომ რკინიგზის გეგმა უმრავდეს შემთხვევაში არის სწორი და მრუდე უბნების შეუდლება (ნახ. 2.4). ხოლო პროფილი – პორიზონტალური და დახრილი უბნების ერთობლიობა. პორიზონტალურ უბანს მოვდინ ეწოდება, ხოლო დახრილს – ქანობი (ნახ. 2.5).




ნახ. 2.4. რეინიგზის ხაზის გეგმა



ნახ. 2.5. გრძივი პროფილის ელემენტი

ტრანსის სწორი უბნის დამახასიათებელი სიღიდვებია მისი სიგრძე და ქანობი, მრუდე უბანს კი ახასიათებს შემდეგი პარამეტრები: მოხვევის კუთხე  $\varphi$ , მრუდის (მოხვევის) რადიუსი  $R$ , მრუდის სიგრძე  $K$  და კ.წ. ტანგენტის ხაზი  $T$  – მანილი მრუდის საწყის და საბოლოო წერტილებიდან მოხვევის კუთხის წერტომდე (ნახ. 2.6).




ნახ. 2.6. მრუდე უბნის ელემენტები

ეს სიღიდვები გეომეტრიულად ურთიერთკავშირშია კრონმანეთთან:

$$T = R \operatorname{tg} \frac{\varphi}{2}, \quad (2.1)$$

$$K = \frac{\pi R \varphi}{180^\circ}. \quad (2.2)$$

**ჯანმა** ქწოდება ელემენტის საწყის და საბოლოო წერტილის ნიშნების შორის სხვაობის ფარდობას ამ ელემენტის სიგრძესთან (ნახ. 2.7).



ნახ. 2.7. ქანობის გამოხათვლი სქემა

თუ ქანობის სიღრდეს აღვწიშნავთ  $i$ , მაშინ 2.7 ნახ-დან გამომდინარე

$$i = \frac{H_2 - H_1}{l} = \frac{h}{l} = \operatorname{tg} \alpha, \quad (2.3)$$

სადაც  $\alpha$  არის ქანობის დახრის კუთხი.

კონკავით  $l = 1\text{ m} = 1000\text{ mm}$ ;  $h = 3\text{ m}$ , მაშინ  $i = \frac{3}{1000} = 0,003$ , ეს ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ქანობი შეადგენს 1 კმ-ზე 3 მ შემადლებას; მისი ჩაწერა შეიძლება სხვაგვარად-აკ:  $i = 0,003 = 3\%_{100}$ .

რეინიგზის პროფილის ერთ-ერთ ძირითადი პარამეტრია მისი **სახელმძღვანელო ქანობა**. ეს არის აღმართის უდიდესი ქანობი, რომელზედაც დადგენილი წონის მატარებელი ერთჯერადი წევის შემთხვევაში მოძრაობს საანგარიშო მინიმალური სიჩქარით.

## 23. ზოგადი ცნობები რეინიგზის ლიანდაგის შესახებ

რეინიგზის ლიანდაგი არის საინჟინრო ნაგებობათა კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა მასზე მატარებლის გატარება დაღვენილი მასითა და სიჩქარით. რეინიგზის სალიანდაგო მეურნეობას მიეკუთვნება თვითონ ლიანდაგი თავისი ინფრასტრუქტურით – სხვადასხვა სახს ტექნიკური მოწყობილობითა და ნაგებობით. რეინიგზაზე გადაზღვითოთ პროცესის განხსნორციელებლად რეინიგზის ლიანდაგი წარმოადგენს ტექნიკური აღჭურვილობის უმნიშვნელოვანებას ელექტრის.

რეინიგზის ლიანდაგი შედგინვად გამართულ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს, რათა უზრუნველყოს მატარებელთა უსაფრთხო და სტაბილური მოძრაობა. დებულობს რა უშუალოდ დიდ დატვირთვებს თავის თაგზე მოძრავი შემადგენლობისაგან, რეინიგზის ლიანდაგმა სიმტკიცით, მდგრადობითა და გამძლეობით უნდა დააქმაყოფილოს როგორც სამგზავრო ასევე სატერიტო მატარებლების მოძრაობა. მაქსიმალური სიჩქარის პირობებში, ასევე გააჩნდეს აუცილებელი რეზერვი ტფირთნაკადისა და მოძრაობის სიჩქარის ზრდის პირობებში.


რეინიგზის ლიანდაგი შედგება ქვედა და ზედა ნაშენისაგან. რეინიგზის **ქვედა ნაშენში** შედის მიწის გაკისი, ხელოვნური და საინჟინრო ნაგებობები, ხოლო **ზედა ნაშენს** მიეკუთვნება ბალასტის ფენა, შაალი, რელსი, სარელსო სამგზავრო, ძვრაწინადი, ისრული გადამკვანი. უნდა აგინიშნოს, რომ ლიანდაგის კვედა კლემენტი მუშაობს როგორც ერთი მთლიანი კონსტრუქციის.

## 24. ლიანდაგის ქვედა ნაშენი

**მიწის გაჯისი** არის ნიადაგის მოწყობილობათა კომპლექსი, რომელიც მიწის ზედაპირის დამუშავებით მიიღება, და განკუთხილია ლიანდაგის ზედა ნაშენის დასაბებად. მიწის ვაკისი შეიძლება წარმოდგენილი იქნა ერილის (ნახ. 2.8), ჭრილის (ნახ. 2.9), ნახევრადეტრილის, ნახევრადტრილის, ნახევრადტრილ-ნახევრადტრილის სახით (ნახ. 2.10).

ყრილის ზედა მოედანს, რომელზედაც ბალახტის ფენა თავსცება, **ძირითადი მოედანი** ეწოდება. მიწის ზოლს, რომელზეც ყრილია მოთავსებული, მისი **ცუძე** ეწოდება. ძირითადი მოედნის ხაზის გადაკვთას ფერდოს ხაზთან **მიწის გაჯისის წარბი** ეწოდება, ხოლო ფერდოს ხაზის გადაკვთას ყრილის ფუძესთან – **ცუძღოს ძირი**. ფერდოს პორიზონტაზე პროექციას ყრილის ფერდები ეწოდება **ცუძღოს ქვედებული**, ხოლო ფერდოს სიმღელის ფარდობას ქვედებულონ – **ცუძღოს დახრილობა**. ზედაპირული წელების მოშორება ხდება როგორც გრძივი წყალსარინი თხრილით, ასევე ყრილის ასაგებად ტრასის გასწრივ გრუნტის დამუშავების შედეგად წარმოშნელი რეზიტრით. მანილს ფერდოს ძირიდან წყალსარინი თხრილამდე და რეზიტრამდე **ძერბა** ეწოდება. მიწის ვაკისის წარბიდან ბალახტის ფენის ფერდოს ძირამდე მანილს **გვერდული** ეწოდება. გვერდული ხაჭიროა ლიანდაგის მიმსახურე პერსონალის სახიარულოდ, იარაღების დასაწყობად, ასევე სალიანდაგო ნიშნების დასაყენებლად.


ყრილისა და ჭრილის ძირითადი მოედანი ფორმითაც და ზომითაც ერთნაირია. ჭრილის მიწის ვაკისის ძირითადი მოედნის ორივე მხრიდან აკეთებენ გრძივ წყალსარის თხრილს, რომელსაც **ძოუზეზი** ეწოდება. თუ ჭრილის დამუშავების შედეგად მიჰრილი გრუნტი სხვა ადგილზე ყრილის ასაგებად არ გამოიყენება, მაშინ ის



ნახ. 2.8. კრიფის სქემა.


ა) – კრიფი ზოგადი სახით; ბ) – კრიფი განივი კვეთის  
პროექტით. 1 – წყალსარინი თხრიდი; 2 – ძერმა; 3 – კრიფის  
ტანი; 4 – წარი; 5 – ბალაბრის ფენის ფერდის ძორი; 6 –  
გვერდული; 7 – ფერდი; 8 – რეზერვი

გადააქცო ჭრილის წარბის ჰორიზონტალურ გაგრძელებ-  
ბებზე მთის ფერდოს მხარეს და წესიერი პრიმის ფო-  
რმას აძლევენ. რომელსაც **ჯაფალიური** ეწოდება. იმ მიზ-  
ნით, რომ ზედაპირული წყლები ჭრილში არ ჩაედინოს,  
კაფლიურის განივ გაგრძელებაზე აგებენ ქწ. **სამორ-არხები**, ხოლო კაფალიურსა და ჭრილის წარბს შეინის-  
როლში – სამკუთხედის ფორმის მიწის ნაფარს,  
რომელსაც **ბანჯზი** ეწოდება. ბანჯებსა და კავალიურს



ნახ. 2.9. ჭრილის სქემა.

ა – ჭრილის საფრთხო სქდა; ბ – ჭრილის განივი კვეთის  
პროფილი; 1 – სამთო არხი; 2 – კავალიერი; 3 – საბანკებო  
არხი; 4 – ბანკეტი; 5 – ფერდოს წარბი; 6 – ეუჯეტი; 7 –  
ფერდო; 8 – გვერდული; 9 – ბალასტის ფქნა;



ნახ. 2.10. მიწის გაეთხის განივი კვეთის სახეები.

ა – ნახევრადყრილი; ბ – ნახევრადჭრილი; გ –  
ნახევრადყრილ–ნახევრადჭრილი

შორის მოთავსებულია **საპანეტიო არხი**. მიხი დანიშნულებაა გაატაროს კავალიერის ფუქსთან დაგროვებული წელი.

**ხელოვნების ნაგებობები** გამოიყენება ისეთ ადგილებში, სადაც მათ გარეშე შეუძლებელია რეინიგზის ღიანდაგის დაგება; მას მიუკუთხნება: ხიდი, გვირაბი, გზაგამტარი, ესტაკდა, ვიალუე, მილი, თოვლადამცავი გალერეა, დვარცოვსადიარი, საყრდენი კედელი, სარვეგულირებელი ნაგებობა და სხვ (ნახ. 2.11).

ხელოვნები ნაგებობებიდან პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გვხვდება **ხიდი**. მუშაობის ხასიათის, დასამზადებელი მასალის, კონსტრუქციული თავისებურებებისა და მრავალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული პარამეტრისაგან დამოკიდებულებით, ხიდიც სხვადასხვაგვარია:

- სავალი ნაწილის მიხედვით, გვხვდება ხიდის შემდეგი სახეობები: ზესვალი, როცა სავალ ნაწილი მხოდი კონსტრუქციის ზევითაა მოთავსებული, ქვესვალი – როცა მხოდი კონსტრუქცია მთლიანად ან ნაწილობრივ სავალ ნაწილზე ზევით თავსდება და შუასავალი – როცა მაღის<sup>1</sup> გარევეულ ხიგრძეზე ხიგრძეზე მათი სავალი ნაწილი მხოდი კონსტრუქციის ზევითაა, ხოლო დარჩენილი ნაწილი კვევით.

- მაღის რაოდენობის მიხედვით – ერთმალიანი, ორმალიანი და მრავალმალიანი;


- მთავარი დიანდაგების რაოდენობის მიხედვით – ერთ- და ორლიანდაგებიანი და მრავალლანდაგებიანი;<sup>2</sup>

- მაღის ნაშენი მასალის მიხედვით – ხის, ქვის, ლითონის, რეინიალებინის, ფოლად-რეინალებინის;


- სტატიური სქემის მიხედვით – კოჭური, თაღოვანი, ჩარჩოვანი, კიდურების და ვანტურის.

<sup>1</sup> - **მაღი** ეწოდება საყრდენი ბურჯის დერმებს ჰერის მანძილს.

- ხიგრძის მიხედვით – მცირე ხიდები (25 მ-მდე), საშუალო ხიდები (25-100 მ), დიდი ხიდები (100-500 მ) და განსაკუთრებით დიდი – (500 მ-ზე მეტი);



ნახ. 2.11. ხელოვნური ნაგებობები: а – ხიდი; б – გზაგამტარი; გ – ებტაქადა; დ – გიადუქი; ე – გვირაბი



ნახ. 2.11-ის გაგრძელება  
3 – მიკრო; 4 – დფარცოფსედინირი; 5 – საერდენი ქვედული;  
6 – თოვლდამცაჭირ გალურება; 7 – სარეგულირებო ნაგებობა

**გვირაბი** არის ხელოფნურ ნაგებობა, რომლის დანიშნულებაცაა ქომუნიკაციის გატარება მიწის ქვეშ.

**გზაგამტარი** აგებენ ისეთ ადგილებში, სადაც რეინიგზა კვეთს საავტომობილო გზას ან მეორე რეინიგზას. ის ძირითადად უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ტრანსპორტის გატარებას სხვადასხვა დონეზე.

**ესტაჯადას** აშენებენ ისეთ ადგილებში, სადაც საჭიროა დიდი ყრილების აგება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს არ ხერხდება.

**გიადუქს** აგებენ მაღალი ყრილის ნაცვლად დრმა სევებსა და ხეობებში.

**გილი** ეწყობა მცირე ნაკადულის, წყალსადინარის, მშრალი ხეობის რეინიგზით გადაკვეთის ადგილზე.

**თოვლადამცავი გალერეა** ოგება ძირითადად მთებში – ზვანების ადგილებში, ხილო იქ. სადაც ხშირია დვარცოვები – აწყობენ დარცვოფსადინარი.

**საყრდენი გვრდის** დანიშნულებაა ყრილის ფერდოს დაზიანების თავიდან აცილება, მთის მხრიდან (საჭიროების შემთხვევაში) ლიანების დაცვა ქვის ცვენისაგან, მდინარისა და ზღვის ნაპირის მხრიდან ჩამორყცხვის თავიდან აცილება.


**საუბულის დოკორებობობის** დანიშნულებაა წყალდიდობისა და თოვლის დწობის დროს, ხილისა და მიწის ვაკების დაზიანების თავიდან აცილება. მათ ფერდოების მდინარის მხრიდან ამაგრებენ მოკირწყვლითა და რეინაბეტონის ფილებით.

## 2.5. ლიანდაგის ზედა ნაშენი

რეინიგზის დაინდაგის ზედა ნაშენის დანიშნულებაა, გატაროს მოძრავი შემადგენლობა ლიანდაგზე, მიიღოს თავის თავზე გოგორწყვილების დაწოლა და გადასცეს

იგი ქვედა ნაშენს. ლიანდაგის ზედა ნაშენი წარმოადგენს კომპლექსურ კონსტრუქციას, რომელიც აერთიანებს ბალასტის ფენას, შპალს, რელსს, სარელსო სამაგრებს, ძერაწინაღს, ისრულ გადამყვანს. ლიანდაგის ზედა ნაშენი ზოგადი სახით ნაჩვენებია 2.12 ნაბ-ზე.

**ბალასტის ფენის** ძირითადი დანიშნულებაა მიიღოს თავის თავზე შპალებიდან გადმოცემული დატვირთვა, თანაბრად გაანაწილოს იგი მიწის ფაკისის ძირითად მოყდანზე. საბალასტედ იყენებენ კარგ სადრენაჟე მასალას, როგორიცაა: ლორდი, ხრეში, ხილი.



ნახ. 2.12. ლიანდაგის ზედა ნაშენი.

1 – რელსები; 2 – შპალები; 3 – სარელსო სამაგრები; 4 – ბალასტის ფენა; 5 – ხილის ბალიში

**დორდი** წარმოადგენს საუკეთესო საბალასტო მასალას. იგი მზადდება მტკიცე ჯიშს სამთო ქანებისაგან, როგორიცაა გრანიტი, კვარციტი, ბაზალტი და სხვ. საქართველოს პირობებში ძირითადად გამოიყენება ორი ფრაქციის ღორდი, მსხვილი (ფრაქციის ზომებია 25-დან 60 მმ-მდე) და წერილი (5-დან 25 მმ-მდე). აქედან მსხვილი ფრაქციის ღორდს იყენებენ ცენტრალურ მიმართულებებზე, ხოლო წერილს – ნაკლებად ტეიროდაბაზულ შტოებსა და მისასელელ ლიანდაგებში.

**ხრეშის ბალასტი**, ღორღოთან შედარებით, მოსაპოვებლად (დასამზადებლად) გაცილებით თოლია და შესაბამისად იაფიც, მაგრამ ხარისხით იგი ღორღს ვერ შევდრება. ის ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს შპალიდან გადმოსულ დატვირთვას, ნაკლებად მდგრადია და წელის ცუდი გამტარიც.


**სილის ბალასტი** ტექნიკური მასასიათებლებით კველაზე უარესია. მას ძორთადად იყენებენ ბალიშად, ღორგის ბალასტის ქვეშ, ლიანდაგბზე.

**შპალი** წარმოადგენს რელისქვეშა საფუტვლის ძირითად ელემენტს, რომლის დანიშნულებაა დატვირთვის მიღება და მისი გადაცემა ბალასტის ფენაზე, სარელსო ძალების დამაგრება და ლიანდაგის სიგანის უზრუნველყოფა. შპალს ამზადებენ ხისაგან, რეინაბეტონისაგან და ლითონისაგან.

**ხის შპალი** ახასიათებს ხიმსუბუქებს, დრეკადობა, დამზადების სიმარტივეს, სარელსო წრედში გამავალი დანის დიდი წინაღობა; უარყოფითი მხარევა – სიძირი და მოხმარების მოქლევა გადა (15–20 წელი). საშპალე მასალად იყენებენ ფიტებს, სოჭებს, ლარიქესს; უფრო ნაკლებად – კედარს, წიფელსა და არყის ხეს. განივი კვეთის ფორმის მიხედვით ხის შპალი სამი სახისაა – ჩამოგანილი, ნახევრადძელური და ჩამოუენელი (ნახ. 2.13). ხის შპალის სტანდარტული სიგრძეა 2750 მმ, ხოლო ტეირთდაბულ და ჩქროსნეული მოძრაობის უბნებზე იყენებენ 2800 მმ სიგრძის შპალს. კველა სახის ხის შპალი იყდინობა სპეციალური ხეთოვანი ანტისეპტიკებით.

**რეინაბეტონის შპალი** (ნახ. 2.14) დადგითით თვისებაა მოხმარების დიდი გადა (40–50 წელი), ლიანდაგის მაღალი მდგრადობა და სიაფე ხის შპალთან შედარებით; უარყოფითი მხარევა დიდი მასა, დენის კარგი გამტარიბა,


მაღალი სიხისტე და რელსის სამაგრი კონსტრუქციების სირთულე.




მაღალი სიხისტე ზომები

შპს- ლის ტიპი	სისქე სი- მმ	ნამოხ- ვა გვერდი სიმ. $h_1$ , მმ	სიგანგ. მმ			სიგრძე მმ
			ზედაპირის სისქე სი- მმ		საწი- ლის, $b_1$	
			$b$	$b'$		
I	$180 \pm 5$	150	180	210	$250 \pm 5$	$2750 \pm 20$
II	$160 \pm 5$	130	150	195	$230 \pm 5$	$2750 \pm 20$
III	$150 \pm 5$	105	140	190	$230 \pm 5$	$2750 \pm 20$


ნახ. 2.13. ხეხ შპს-ლის განვითარებული კვეთის ძირითადი პროფილები.  
ა)ნამოხანილი; ბ)ნახვადებულებრივი; გ)ნამოუკეთებული



ნახ. 2.14. რეკონსტრუქციის შპს-ლის სქემა



ნახ. 2.15. რელესის განივი პროფილი. 1 – რელესის თავი; 2 – რელესის ყელი




ნახ. 2.16. ლიანდაგის რელესების მუშა ქიმებს შორის  
ხტანდარტული დაშორების სქემა

**რელის** დანიშნულებაა გოგორწყვილის ქმების და-სმარებით მიმართულება მისცეს მოძრაობას, მოძრავი შემაღებულობის დერმული დაწოლა მიიღოს თავის თავზე და გადასცეს შპალს. ელექტრიფიცირებულ და ავტო-ბლოკირებით აღჭურვილ რეინიგზეზე რელის გამოიყე-ნება პირველ შემთხვევაში როგორც ძალოვანი, ხოლო ავტობლოკირების დროს – როგორც სასივნალო დენის გამტარი. რელისს განივი პროფილი ნაჩვენებია 2.15 ნახ-ე საქართველოს რეინიგზაზე ლიანდაგში რელისების მუ-შა ქმების შორის სტანდარტული დაშორება (ლიანდაგის სიგანე) სწორ უბნებში შეადგენს 1520 მმ-ს, სიგანის დასა-შვები მატება შეიძლება იყის 8 მმ, ხოლო კლება – 4 მმ (ნახ. 2.16). დღეისათვის საქართველოს რეინიგზაზე გამოი-ყენება P-65 და P-50 ტიპის რელის. მისი სტანდარტული სიგრძეა 25 მ, თუმცა ისრულ გადამჟღნებას და უპირაპი-რო ლიანდაგის მათანაბრტებულ მაღლებში შეიძლება გამო-ეცნებულ იქნეს 12,5 მ სიგრძის რელისც. რელისს მოხ-მარების ვადა განისახლერება მასზე გატარებული ტონა-ების ნორმით. ასე მაგალითთად, რ-65 ტიპის რელისათვის ეს ნორმაა 500 მლჩ.გ. ბრუტო<sup>1</sup>, ხოლო რ-50 ტიპისათვის – 350. დღეს ტკირთდაბრულ უბნებზე ფართოდ გამოიყენება ეწ. უპირაპირ რელისი (თერმულად შედევდებული). მისი დაღებითი მხარეა პირაპირების ლიკვიდაცია (ლითონის ეკონომია) და ხმაურის შემცირებით კომფორტულობის დონის ამაღლება. უარყოფითი მხარეა სიგრძის ცვალება-დობა წლის პერიოდების მიხედვით.

შპალზე რელის ამაგრებენ **შუალედური სამაგრით**. მისი დანიშნულებაა ლიანდაგის სიგანის მუდმივობის შენარჩუნება, რელისის გრძივი გადაადგილების ან გვე-

<sup>1</sup> – **ძრუტო** არის ტარას დამატებული ნეტოწონა. ტკირთის სუვთა წონას ნეტო ეწოდება: საგანს, რიმელშაც ტკირთია მოთავსებული (წვენ შემთხვევაში ვაზონი) **ტარა** ჰქვა.

რდზე გადაყირავების დაუშვებლობა. შეაღედური სამაგრი სამი სამი სახითაა – განუყოფელი, შერეული და განცალკევებული. განუყოფელი სამაგრის შემთხვევაში რელსი და რელსის საყრდენი ქვესადები შეალზე მაგრდება ერთი და იგივე სამაგრით (ნახ. 2.17,ა), შერეულის დროს ქვესადები შეალზე მაგრდება დამატებითი სამაგრით (ნახ. 2.17, ბ), ხოლო განცალკევებული სამაგრის შემთხვევაში – რელსი მაგრდება ქვესადებზე ხისტად ან დრეკადი ქლემით და საკლემები დამჭერი ჭანჭიკით. ქვესადები, თავის მხრივ, ცალქა დამაგრებული შეალზე ჩასაღებელი ჭანჭიკით ან შერეულით (ნახ. 2.17, გ). განცალკევებული სამაგრის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ გააჩნია დიდი წინაღობა გრძივი და განივი ძალებითადმი, არ სჭირდება ძვრაწინაღის დაუქნება, რადგანაც ამ დროს რელსის წაძვრა საერთოდ არ ხდება.




ნახ. 2.17. რელსის დამაგრება შეალზე შეაღედური სამაგრით. ა – განუყოფელი; ბ – შერეული. 1 – რელსი; 2 – ომბოხი; 3 – ქვესადები; 4 – შეალი; 5 – დამატებითი ომბოხი; გ – განცალკევებული სამაგრი; 1 – საკლემები მიშევრი ჭანჭიკი; 2 – ქლემა; 3 – საიზოდაციო მილის; 4 – ჩასაღებელი ჭანჭიკი; 5 – საანკრე საყვლური; 6 – შეასადები; 7 – რელისის ქვესადები; 8 – ლიოონის ქვესადები; 9 – ბრტყელი საყვლური; 10 – ორნები ან ზამბარეული საყვლური

მატარებლის ზემოქმედებით რელსი ხშირად გრძივად გადადგილდება შეალზე ან შეალთან ერთად, რასაც დღინძაგის წაძვრა ეწოდება. მის საწინააღმდეგოდ

იყენებენ ქ. წ. **ძვრაწინაღის** (ნახ. 2.18). იგი ორი სახისაა – ზამბარული და ოფითხასოლვალი. ზამბარული (სტანდარტული) ძვრაწინაღი ჩამაგრებულია რელსის ძირზე და მიბჯენილია შპალზე. ოფითხასოლვალი წალეკებისადი შედგება ეაფისა და საბჯენი სოლისაგან, რომელიც მიჰერილია შპალზე და რელსის გადაადგილების შემთხვევაში უფრო ძლიერად ეჭირება მას. მოუხედავიდ თვითხასოლვალი ძვრაწინაღის უპირატესობისა, ზამბარული ძვრაწინაღი უფრო ფართო დამოუყენება მისი სიმარტივის გამო.


მორავი შემადგენლობის ერთი ლიანდაგიდან მეორეზე გადასასვლელად იყენებონ სპეციალურ მოწყობილო-



ნახ. 2.18. ძვრაწინაღის სახეები. ა – ზამბარული; ბ – ოფითხასოლვალი


ბას, რომელსაც **ისრული გადამუჯანი** ჰქვია. დანიშნულებისა და შეერთების პირის შეცვლით ისრული გადამუჯანი არის ერთმაგი, ორმაგი და გადაჯვარედინებული. თავის მხრივ, ერთმაგი ისრული გადამუჯანი შეიძლება იყოს წვეულებრივი, სიმეტრიული და არასიმეტრიული; ჩვეულებრივი ისრული გადამუჯანი გახვდება მარჯვნა და მარცხნა – იმისდა მიხედვით, თუ პირდაპირი ლიანდაგიდან რომელ მხარეს განშტოვდება გვერდითი ლიანდაგი. იგი შედგება სამი ნაწილისაგან (ნახ. 2.19): I – უშალოდ

ისარი, II – შემაერთობელი ლიანდაგები, III – ჯვარედინის კომპლექტი. ისარი შედგება ორი ჩარჩო რელსისაგან, ორი კალმისაგან და გადამყვანი მექანიზმისაგან; II ნაწილში შედის შემაერთობელი სწორი და მრუდე ლიანდაგები. ჯვარედინის კომპლექტში (ნახ. 2.20) შედის ჯვარედინის გულარი, ორი ულვაშ რელსი და ორი რელსი მასზე მიმაგრებული კონტრელსებით. ჯვარედინის უზრუნველყოფას გოგორწყილის ქმნის გატარებას რელსის წევების ზონაში, ხოლო კონტრელის მიმართავს თუდის ქმნებისაბამის დარში. მანძილს ჯვარედინის ყელიდან გულარის იმ წერტილამდე, სადაც მისი სისქე აღწევს 40 მმ-ს, შემცირდება გულარის მუშა წახნაგებს შორის წარმოქმნიდ აუთხეს, ჯვარედინის კუთხი ჰქონია. ჯვარედინის გულარის სიგანის სიგრძე გულარის გადამყვანის სისქე წერტილის დარშის გადამყვანის მის სიგრძესთან ჯვარედინის მარტა გვიდება. სწორი ლიანდაგის დერძისა და გვერდითი (განშტოტებული) ლიანდაგის დერძის გადაკვეთის წერტილს ისრული გადამყვანის ცენტრი ჰქონია.



ნახ. 2.19. ჩვეულებრივი ისრული გადამყვანის სქემა. 1 – ჩარჩო რელსი; 2 – კალმი; 3 – გადამყვანი მექანიზმი; 4 – შემაერთობელი სწორი ლიანდაგი; 5 – შემაერთობელი მრუდე ლიანდაგი; 6 – ჯვარედინის გულარი; 7 – ულვაშის რელსი; 8 – კონტრელი; 9 – გადამყვანის ძელი; R – მრუდის რადიუსი


დანიშნულების მიხედვით არსებობს შემდეგი მარკის ისრული გადამყვანი: 1/6; 1/9; 1/11; 1/18 და 1/22. აქედან, 1/6 მარკის ისრულ გადამყვანს იყენებენ დამხარისხებელი პარკის ჟელებში. დანარჩენი მარკის ისრული გადამყვანი გამოიყენება მთავარ ლიანდაგებში, იმისდა მიხედვით, თუ რა სიჩქარით ხორციელდება მატარებელთა მოძრაობა ამ ლიანდაგებზე. მაგალითად, 1/9 მარკის ისრული გადამყვანის დროს მატარებლების მოძრაობა პირდაპირ ლიანდაგში დასაშვებია 120 კმ/სთ სიჩქარით, ხოლო გვერდით ლიანდაგში ხორციელდება მხოლოდ სატვირთო



ნახ. 2.20. ჯვარედინის სქემა. 1 – ულვაშები; 2 – ღარები; 3 – ჯვარედინის გულარი; 4 – ჯვარედინის ბოლო;  $L$  – გულარის სიგრძე;  $\alpha$  – ჯვარედინის უკითხებ;  $K$  – გულარის სიგანე

მატარებლის მიღება, გატარება და გაგზვნა; 1/11-ის დროს მატარებლის მოძრაობის სიჩქარე პირდაპირ ლიანდაგში დასაშვებია 140 კმ/სთ-ით, გვერდით ლიანდაგში კი არა უმეტეს 50 კმ/სთ-ისა. 1/18 და 1/22 მარკის ისრული გადამყვანები, როგორც წესი, ჩქაროსნული მოძრაობის უნებებები გამოიყენება. 1/18 მარკის ისრული გადამყვანის დროს გვერდით ლიანდაგზე მატარებლის

მოძრაობა ნებადართულია 80 კმ/სთ სიჩქარით, ხოლო 1/22-ის შემთხვევაში – 120 კმ/სთ სიჩქარით.



ნახ. 2.21. სიმეტრიული (ა), ორმაგი (ბ) და გადაჯვარედინებული (გ) ისრული გადამყვანის სქემები

სიმეტრიული, ორმაგი და გადაჯვარედინებული ისრული გადამყვანის სქემები ნაწერებია 2.21 ნახ.ზე ორმაგ ისრულ გადამყვანის პრაქტიკაში ფაქტობრივად აღარ ხმარობება, ხოლო გადაჯვარედინებულს, ადგილის მოგების მიზნით, ძირითადად იყენებენ სალიანდაგო პარკების და-მაკავშირებელ სამანევრო რაიონებში.

## 2.6. სალიანდაგო მეურნეობა

რეინგზის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია დაინდაგისა და სალიანდაგო ნაგებობის მოვლა-შენახვა და მომსახურება. სალიანდაგო მეურნეობას უძღვება ინფრასტრუქტურის დირექციაში შემაგალი სალიანდაგო დეპარტამენტი. მას ექვემდებარება რეინგზის კალვა-ძიებისა და დაპროექტებისათვის გეოლოგიური ბაზა,

ლიანდაგის საკვლევი სადგური, საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნიკური ბეჭედობის ბიურო და სხვა ქვედანაყოფები.


სალიანდაგო მეურნეობის ინფრასტუქტურის უმნიშვნელოვანების ქვედანაყოფია სალიანდაგო და სატყეო ნარგავების სამმართველო და ლიანდაგის სარგმინტო-სამშენებლო სამმართველო. სალიანდაგო სამმართველო პირობითად დაყოფილია უბნის უფროსი. იმ გეგმითი სამუშაოს ხელმძღვანელობს უბნის უფროსი. იმ გეგმითი სამუშაოს შესასრულებლად, რომლის განხორციელება სალიანდაგო მანქანით არ ხერხდება, თითოეულ უბანზე იქმნება გამსხვიდვული ბრიგადი 15-20 კაცის შემაღებნლობით, რომელსაც ხელმძღვანელობს ლიანდაგის ოსტატი. ლიანდაგის შექმნებისას ასრულებს ლიანდაგის სარგმინტო-სამშენებლო სამმართველო, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში – სალიანდაგო სამმართველოს სარგმონტო კოლონები.

სალიანდაგო სამუშაოს ძირითად სახეობას შექმნას ნება: ლიანდაგის მიმღინარე მოყვარა-შენახვა, ლიანდაგის აწევითი, საშუალო და კაპიტალური შექმნება, რესსის ერთიანი შეცვლა ახლით ან ნამკედარით და გადასავალების კაპიტალური შექმნება. შექმნების პერიოდულობა განისაზღვრება უბანზე გატარებული ტონაჟის (მდნ.ტ. ბრუტო) და ლიანდაგის ზედა ნაშენის ტიპის მიხედვით (ნახ. 2.22).

**ლიანდაგის მიზანის მოვლა-შენახვის საშუალების დროს** ხდება ლიანდაგის მოწყობილობებისა და ნაგებობების დათვალიერება და გაკონტროლება, მათზე ზედამხედველობის დაწესება; ლიანდაგის შენახვა გმირობულ მდგრმარეობაში (ლიანდაგის სიგანის მუდმივობა) სპეციალური ლიანდაგსაზომი შეძლონის (ნახ. 2.23) გამოყენებით, რესსის დონეებისა (თარაზოთი) და გეგმის გასწორების სამუშაოს მიზანის მიხედვით (ნახ. 2.22).



ნახ. 2.22. ლიანდაგის შეკეთების თანმიმდევრობა მძიმე ტიპის  
(P-65) ზედა ნაშენის დროს; ა - კაპტალური შეკეთება; ბ - აწვეოთი შეკეთება; ბ - საშუალო შეკეთება



ნახ. 2.23. ლიანდაგსაზომი შაბდონის სქემა. 1 - უძრავი საბრჯენი; 2 - კორპუსი; 3 - გადამყარი მრუდის ორდინაცია სახით-მი შაბდონი; 4 - თარახი; 5 - მოძრავი საბრჯენი; 6 - ლიანდაგის სიგანის მაჩქებელები სკალა; 7 - სარელის ძაფების კერტიკალური დონის მაჩქენებელი სკალა

რება. ლიანდაგის მდგრამარეობა ფასდება ბალური სისტემით ლიანდაგმზომი ვაგონის მონაცემების საფუძველზე.

**ლიანდაგის აწვეოთი შეკეთება** ხორციელდება ბალასტის ფენის ნაწილობრივ გაჯანსაღების მიზნით, შეაღების ერთ-ნაირად გასწორებითა და ბალასტის ამოტენით, ლიანდაგის თანაბარდრეკალობის უზრუნველსაყოფად. გარდა

აღნიშნულისა, ხორციელდება პირაპირში ღრებოს გართვა (დაშორება) ან რეგულირება, ერთეული დეფექტური რედასის შეცვლა, მწყობრიდან გამოსული სამაგრისა და შპალის შეცვლა, წეალსარინის გაწმენდა და სხვ.

**ლიანდაგის საშუალო შეკვეთის დროს** ხორციელდება ბალასტის ფენისა და შპალის გაჯანსაღება და გაძლიერება ისეთინარად, როცა რელის ჯერ კიდევ არ საჭიროებს სამაგრებოს ერთად მთლიანდე შეცვლასა და ხდება მხოლოდ მისი შერჩევითი გამოხშირვა.

**ლიანდაგის კაპიტალური შეკვეთის დროს** ერთიანად იცვლება რელის და შპალი; რელის იცვლება იმავე ტიპის ან უფრო მძიმე ტიპის რელისთვის; ხდება ღრების ბალასტის გაწმენდა ან მთლიანდე შეცვლა; ისრული გადამჭვანის შეცვლა; ფენისა სახის მრულის ინსტრუმენტული გასწორება; მიწის ვაკის შეკვეთა და გამაგრება; წეალსარინის, სამგერის, სარეგულირებელი და დამტკავი ნაკეთის შეკვეთა და სხვ.

**რელის ერთიანი შეცვლა** ახდით, როგორც წესი, ხდება მთავარ მაგისტრალზე მათი გაცვეთის შემთხვევაში ან მაშინ, როცა საჭიროა არსებული რელის ტიპის შეცვლა უფრო მძიმე ტიპით, ლიანდაგის გაძლიერების მიზნით.

**რელის ერთიანი შეცვლა ნაძველარით** ხდება მთავარ ან სასადგურო ლიანდაგში იმ შემთხვევაში, თუ იქ დაგმტკლია უფრო მსუბუქი ტიპის რელსები.

**გადასაგადის კაპიტალური შეკვეთის მისი ფენისას შეცვლას** ან გადაეფთიბას; მისასვლელის, წეალსარინის, შდაგბაუმის, გადასაგადის სამორიგეო პოსტის, გადამდინის და საბაჟუქებლო სიგნალიზაციის განხელებასა და შეკვეთებას.


**ლიანდაგის შესაბეჭდებლად იუქნებენ** მაღალმწარმოქმდურ სალიანდაგო მანქანებს, ბალასტის გადასაზიდად

და მექანიზმებული დაცლისათვის სპეციალურ ვაგონს, რომელსაც **ჰუპერ-დოზატორი** ეწოდება (ნახ. 2.24, ა); ბალასტის ფენის გასაწმენდად და რებეტირებისათვის<sup>1</sup> გამოიყენება სალიანდაგო მანქანა RM 80 (ნახ. 2.24, ბ). ლიანდაგის გასწორება განივი და გრძივი მიმართულებით, ბალასტის შემკვრივება შპალის ქვეშ, ლიანდაგის რებეტირება კაპიტალური შეკეთების დროს, ხორციელდება შპალგამომტებებისარებირებელი უწევებიციელური სალიანდაგო მანქანით 09-32 CSM (ნახ. 2.24, გ). ლიანდაგის მიმდინარე შენახვისას, ასევე აწვითი და საშვალო შეკეთების დროს, მირთადი სამუშაოების ჩატარება ხდება გამსწორებულ-ამონტებულ-შემაზურებელი მანქანის საშუალებით (ნახ. 2.24, დ). სალიანდაგო სამუშაოების შესრულება ხორციელდება ტიპური ტექნიკური პროცესის შესაბამისად 2–5 საათიან „ფანჯარაში“<sup>2</sup>. „ფანჯარებს“ გამოყოფები გადახდების საშასხვრით შეთანხმებით ხაზის გამტარუნარიანობის არსებული დონის მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით, სარემონტო სამუშაოები იგეგმება ერთსა და იმავე დროს მოკლ მიმართულებაზე ტექნიკური და შრომით რეზერვების მობილუზეციის აირობებში.

ზამთრის პერიოდში რკნიგზის შეუცვერებელი მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული ლიანდაგის სტაბილურ მუშაობაზე, რაც გულისხმობს ლიანდაგის გაწმენდას თოვლისაგან და მის გატანას. ამ დროს ითვალისწინებენ თოვლის მოსვლის ინტენსიურობას, ზამთრის განმავლობაში ქრბუქანი დღეების რაოდენობას (სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით), ქარის სიჩქარესა და მოძრაობაზე.

1 – **რებეტირება** – შეზუხებება.

2 – „ფანჯარა“ ეწოდება დროის მონაცემთს მატარებლთა მოძრაობის, გრაფიკზე დღის ნათელ ჟრიოდში, რომლის დროსაც მონარებულ უბანზე, სადაც დაგეგმილია სალიანდაგო-სარუმონტო სამუშაოები, წყდება მათი მოძრაობა.




ნახ. 2.24. დაიანდაგის შესაქვთუბლად საჭირო ტექნიკა. а – პოპ-გრ-დოზატორი; б – სალიანდაგო მანქანა RM 80; გ – უპალგამ-ომბენ-მარებირებელი უწყვეტ-ციკლური სალიანდაგო მანქანა 09-32CSM; დ – გამსწორებელ-ამომტენა-შემაზუსტებელი მანქანა

აობის მიმართულებას, ადგილმდებარეობის რელიეფს, ლიანდაგის გვერდასა და პროფილს. ლიანდაგის თოვლის ნაშერისაგან დაცის მიზნით იყენებენ ხის ნარგავების ზოლს, ერთ ან რამდენიმე რიგად განლაგებულ ხის ან რკინაბეტონის ღობეს, რკინიგზის ლიანდაგის გასწრივ განლაგებულ ბუნებრივ ან ხელოვნურ ნარგავებს, გადასატან ხის ფარგებსა და სხვ.

თოვლის ინტენსიური მოსკლისა და ქარბუჯის შემთხვევაში გადასარბენებზე ლიანდაგი იწმინდება გუონისებრი, ისრისებრი და როტორიანი თოვლსაწმენდებით, ხოლო თოვლის გატანა ხდება საეციალური თოვლის ამდები მნიჭანოთ (ნახ. 2.25). ისრული გადატყვანი იწმინდება სასაღლურ პრეცენტური მოწოდილობით – შეკერძლი ჰაერის ჩაბერვით ხდება მისი ნაწილებიდან თოვლის გაფარება. ამავე მიზნით იყენებენ ელექტროობით და გაზით გამოტობ მოწყობილობებს ისრულ გადატყვანში თოვლის დასადონობად.

თუ ლიანდაგი გადის სილიო დაფარულ უდაბნოში, ითვალისწინებენ ლიანდაგის დაცვას სილის ნაშერისაგან. მის საწინააღმდეგოდ იყენებენ სხვადასხვა სახის ზღუდეს, როგორიცაა ლელქაშის, ბუქის, ტოტისა და ჩვეულებრივი ხის ფიცრისაგან დამზადებული ღობე. საღაც შესაძლებელია სილის ზედამიწას ამაგრებენ მცენარეული ნარგავებით, წინააღმდეგ შემთხვევაში იყენებენ სხვადასხვა სახის ემულსასა და პოლიმერს.

რკინიგზის ლიანდაგის დაცვა თოვლის დნობის, საბაზაფხულო და კოისპირული წვიმით გამოწვეული წაყლდიდობის დროს ხდება საეციალური დამცავი ღონისძიებების კომპლექსით. ამ ღორის თოვლისწინებულ წინასწარ საბუქმაოებს, როგორიცაა ხიდებისა და მილების წინასწარი გაწმენდა-გასუფთავება თოვლისგან, საეციალური მატარებლის მზადყოფნა, რომელშიც გარდა მორიგე



ნახ. 2.25. თოვლისაწმენი ტექნიკა. α - გუთნისექტრი თოვლისაწმენი; β - ისრისექტრი თოვლისაწმენი; γ - როტორიანი თოვლისაწმენი; δ - თოვლის ამდები მანქანა.

ბრიგადებისა, ჩართული იქნება ვაგონები სხვადასხვა სახის ინსტრუმენტებითა და მასალით, რათა შესაძლებელი იყოს წალეკის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარება.

### **3. რპინიგზის აპტომატიკისა და ტელემეტრიკის**

## **მოვწოდილობა**

### **3.1. ზოგადი მდგრმარეობა**

რკინიგზაზე მატარებელთა უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის თვალისწილება სარკინიგზით ავტომატიკისა და ტელემექანიკის სისტემებით, რომლებსაც ხელმისაწვდომი ხასიათის, ცენტრალური ხაციისა და ბლოკირების ხისტერებსაც (ხცბ) უწოდებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქმროთ ხელმისაწვდომი სისტემები ამავდროულად წარმოადგენ რკინიგზის ხაზების სიმძლავრის გაზრდის (გამტარობის უნარი) ეფექტურ საშუალებას.

განასხვავებენ ავტომატიკისა და ტელემექანიკის საგადასარჩევო და სასადგურო სისტემებს. საგადასარჩევო სისტემებს მიეკუთვნება ნახევრად ავტომატური ბლოკერები და ავტომატური ბლოკერები (აუტობლოკირები), ავტობლოკირების ხისტერები, როგორც წესი, შერწყმულია ავტომატური სადოკომობრივო ხიგნადიზაციის ხისტერებთან. თავის მხრივ ერთმანეთისაგან განასხვავებენ სადოკომობრივო ხიგნადიზაციის უწყვეტი და წევებილი მოქმედების სისტემებს.

სასადგურო სისტემების მეშვეობით, სადგურის ცენტრალური მართვის პოსტიდნ, ისრებისა და სიგნალების მართვის გზით, ხორციელდება სადგურის ფარგლებში მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობა, ამიტომ მათ ცენტრალურისაც უწოდებენ. ადრე აღნიშნული იმიგრებების სამართავად გამოიყენებოდა ფიზიკური ძალა და ასეთმა სისტემამ მიიღო მექანიკური ცენტრალურის სახელწოდება. დღეს ისრები და სიგნალები იმართება ელექტროლი ძალის საშუალებით და ამიტომ ამ სისტემას ელექტრულ ცენტრალისაცას უწოდებენ. გასული საუკუნის 70-იან წლებაშიდე ელექტრული ცენტრალისაციის

მოსაწყობად გამოიყენებოდა სარელასო საექსემპტო ბაზა და ამიტომ მან მიიღო სარელურ ელექტრული ცენტრალიზაციის სახელწოდება. აღნიშნული სისტემები დღესაც ფართოდ გამოიყენება რეინიგზის სადგურებში.

1978 წელს შვედურმა ფირმა „ერიქსონმა“ დაამუშავა და დანერგა (სადგური გიორგორგი) მიკროპროცესორებით საექსემპტო ბაზის გამოიყენებით აგებული ISN-850 სახელწოდების ელექტრული ცენტრალიზაცია. ამ ტიპის ელექტრულ ცენტრალიზაციები მიკროპროცესორულ ცენტრალიზაციებს უწოდებენ. დღვისათვის სახელწოდები სისტემები ეტაპორივიდ ცვლის სარელურ ცენტრალიზაციებს და გრძელვადიანი აროგონზით ამ სისტემებით იქნება აღჭურვილი სარეინიგზო სადგურების აბსოლუტური უმრავლესობა.

რეინიგზის ერთლიანდაგიან უბაზე გამტარობის უნარის ამაღლების მთხოვთ მოხდა ამ უბაზე არსებული ავტობლოკრევისა და ცენტრალიზაციის სისტემების ურთიერთშერწყმა და მიღებულ პიტრიდულ სისტემას ეწოდა დისპეციერული ცენტრალიზაციის სახელი.

მატარებელთა მოძრაობის მართვის ოპერატორულობისა და პერსონალის მუშაობის კომფორტულობის დონის ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლს თამაშობს კაგშირგაბმულობის სარეინიგზო (უწყებრივი) სისტემები.

სარეინიგზო ავტომატიკის, ტელემეტანიკისა და კაუშირებაბლობის სისტემების ასაგებად თანამედროვე საელექტრონო ბაზის გამოიყენების პირობებში განუწყვეტლივ ისრდება მათი ფუნქციური შესაძლებლობებით, რაც მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების დონის ამაღლებასთან ერთად მნიშვნელოვნად ზრდის რეინიგზის ხაზის გამტარობის უნარს.


## 32. სიგნალი

**სიგნალი** ეწოდება პირობით ხილვად ან ხმოვან ნიშანს, რომლის საშეკალებებითაც გადაიცემა მატარებლის ან სამანევრო შემაღებელობის მოძრაობასთან დაკაგშირებული გარკვეული ბრძანება. რეანიგზის სიგნალიზაციის სქემა ნაჩვენებია 3.1 ნახ-ხე.

სარეანიგზო ტრანსპორტზე გამოყენებული სიგნალი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად – ხილვადი და ხმოვანი. თავისი მხრივ, ხილვადი სიგნალი შეიძლება იყოს დღის, ღამისა და სადღესამისო. ხილვადი სიგნალი, სასიგნალო მოწყობილობაზე დამოკიდებულებით, შეიძლება დაკვირვებული გადასატანი, სამატარებლო და ხელის სიგნალებად. ხმოვანი სიგნალი გამოიხატება ხმის გამოცემის რაოდენობითა და სხვადასხვა ხანგრძლივობით. ხმოვანი სიგნალის გამოყენება, განსხვავებით ხილვადისაგან, ხდება თანაბრად, როგორც დღის, ასვე დამს პერიოდში. ხმოვან სიგნალს დებულობენ დოკომოტიკის საჭიროს, ხელის საყირის, სირენის, ხმოვანი ბუჭისა და პეტარდების საშეკალებით.

გარდა აღნიშნული სიგნალებისა, სალოიტომობით ბრიგადებისათვის დამატებითი ინფორმაციის გადაცემის მიზნით, სარეანიგზო ტრანსპორტზე გამოიყენება ხილვადი სასიგნალო მაჩვენებლები და სასიგნალო ნიშნები. როგორც სასიგნალო მაჩვენებლები, ასევე სასიგნალო ნიშნები, დოკომოტიკის მემატანებს აწვდის გარკვეულ ინფორმაციას.

რეანიგზაზე მუდმივი სიგნალის რანგში გამოიყენება შუქნიშანი, რომელიც უშეალო მონაწილეობას იღებს მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციაში. გარდა აღნიშნულისა, მისი მნიშვნელობა დიდია, რადგანაც ის ჩართულია რეანიგზის ავტომატიკისა და ტელემეტრიკის კველა



နား၏ ၃၁. ရွှေပိုဂ္ဂိုလ်၏ အာဏာများ



**სიგნალების** ფუნქციონირებაში. დანიშნულების მიხედვით მუდმივი სიგნალი შეიძლება დავკით ძირითადად და დამტმარტგამატრთხილებლად. ძირითადი სიგნალით იფარ-გლება სასაფრთხო დიანდაგი და ბლოკებანი გადასარ-ბენზე, ამასთან, ეს სიგნალი უწევნებს მატარებლის მორჩაობის ნებართვას ან აკრძალვას. დამტმარტგამატრთხილებელი სიგნალი კი თავისი ნებენებით გამოხატავს ძირითად სიგნალთან მასხლოებას და ამ სიგნალის ჩვენებას.

თავისი დანიშნულების მიხედვით **ძირითად სიგნალს** მიეკუთვნება: შესასვლელი, გასასვლელი, გასავლელი, სამარტრუტო და მიმგრავი, ხოლო დამტმარტგამატრთხილებელი – სამანევრო, გორაკის, საღორიმოტიფო, გამაფრთხილებელი, გადამღობი და გამმეორებებელი შექნიანები.

**შესასვლელი** შექნიანის დანიშნულებაა მატარებლის მემანჯანებს მასცეს (ან არ მისცეს) ნებართვა მატარებლის საღგურში შესვლაზე.

**გასასვლელი** შექნიანის საშუალებით ხდება საღგურიდან მატარებლის გაგზავნა.

**გასაფლელი** შექნიანი მატარებელს ერთი ბლოკურიდან მეორეზე გადასვლის ნებას აძლევს ან უკრძალავს. ცალკეულ შემთხვევებში გასასვლელ შექნიანს იყენებენ ნაცვრად ავტომატურ ბლოკერების დროსაც.

**საბარშრუტო** შექნიანი გამოიყენება დიდ საღგურებში. როგორც წესი, იდგმება ცალკეული პარკის ყელებში და მემანჯანებს საღგურის ერთი პარკიდან მეორეში მატარებლის გადაადგილების ნებართვას აძლევს ან უკრძალავს. სამარტრუტო შექნიანზე ყოველთვის მიმარტგბულია სამარტრუტო მატებებელი, რომელიც მოუმოთებს პარკის ლიანდაგის ნომერს. მაგალითად, ოუ სამარტრუტო შექნიანზე არის მწვანე ფერის ჩვენება, ხოლო სამა-

რშრუტო მაჩვენებელზეა ციფრი 7, ეს ნიშნავს, რომ შუქნიანი ნებას აძლევს პარკის მე-7 ლიანდაგში მდგრმ მატარებელს წასვლაზე.

**მიზარაფი** შუქნიანის დანიშნულებაა მატარებლის მოძრაობისათვის საჭიში აღილის შეზღუდვა. ასეთ აღილებს შეიძლება მივაკუთვნოთ რკინიგზისა და ავტოგზის ერთ დონეზე გადაკვირა, ასაწევი ხიდი, რკინიგზისა და ტრამვაის ხაზების შეწვნა და სხვ.

**სამაჯურო** შუქნიანი ნებას იძლევა (ან ქრძალავს) სამაჯურო გადაადგილებას.

**გორუების** შუქნიანი გორუებან მოსხენების (ფაგონის ან ფაგონთა ჯგუფის) დაშვების ნებას იძლევა ან ქრძალავს.

**სალოკომოტივთ** შუქნიანი იმურებს იმ შუქნიანის ჩვენებას, რომელსაც მატარებელი (მორავი ერთული) უასელოვდება. ოუ სალიანდაგო (გასავლელი) შუქნიანი ჩამქრალია, მაშინ მემანქანე ხელმძღვანელობს სალოკომოტივო შუქნიანის ჩვენებით.

**გამაფრთხილებელი** შუქნიანი დროულად აფრთხილებს მემანქანეს ძირითადი შუქნიანის (შესასვლელი, გასავლელი, მიმფრავი) ჩვენების შესახებ.

**გადამზღვები** შუქნიანი იღგმება მოძრაობისათვის საჭიში აღილის წინ (გადასავალი, დიდი მასშტაბის ხელოვნური ნაგებობა, ზვანსაში აღილი), ასევე სადგურში იმ ლიანდაგის შესახლებად საღაც გათვალისწინებულია ვარინის ტექნიკური დათვალიერება და შეკეთება.

**გამშეორებელ** შუქნიანს იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა მემანქანის მიერ აღილობრივი პირობებიდან გამომდინარე, გასასვლელ, სამარშრუტო და გორაკის შუქნიანზე ჩვენების დაფიქსირება შეუძლებელია.

როგორც ძირითადი, ასევე დამსმარებამაყროთხილაბელი შუქნიშნის ფუნქციონირებაში გამოიყენება 5 სახის ფერი: წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ოქტორი (ოქტორი-მოვარისფერი, ოქტორი-გამჭვირვალე, ოქტორი-რძისფერი). პირველი სამი ფერი განკუთვნილია სამატარებლო მოძრაობისათვის, ხოლო ოქტორი და ლურჯი – სამანეურო სამუშაოების მიმღინარეობის დროს.

შუქნიშნის ჩამოთვლილ ფერებს აქვთ შემდეგნაირი დატვირთვა:

**წითელი** – სდექ! წინსვლა (შუქნიშნის გადაქვეთა) აკრძალულია;

**ყვითელი** – ნებადართულია მოძრაობა, მხოლოდ შენელებული სიჩქარით, შემდეგი შუქნიშანი ამჟრძალავია;

**მწვანე** – ნებადართულია მოძრაობა დაღგენილი სიჩქარით;

**ოქტორი-მოვარისფერი** – გამოიყენება როგორც მანქრების წარმოების ნებადარმორთველი სიგნალი, ასევე შესასვლელ, გასასვლელ და სამარშრუტი შუქნიშანზე, – როგორც მოსააპიკებელი სიგნალი;

**ოქტორი-გამჭვირვალე** – გამოიყენება ხელის ფარანში, სამატარებლო სიგნალებში, პიღოროელონისა და ბუქნის გადახურების მაჩვენებლებში;

**ოქტორი-რძისფერი** – გამოიყენება საისრო მაჩვენებლებსა და სალიანდაგო გადაღლებებში.

**ლურჯი** – მანევრების წარმოების აკრძალვა.

წვერულებრივ პირობებში შუქნიშნის წითელი ფერის ჩვენების უგულებელყოფა ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად.

საქართველოს პირობებში სადგურში განლაგებულ უკველა შუქნიშანს მიმაგრებული აქვს ასო „H“ – კენტი მომართულებისათვის, ასო „P“ – წევილი მიმართულებისათვის, ხოლო სამანეურო შუქნიშანს – ასო „M“. კონსტრუქ-

ქონსტრუქციული ოვალსახრისით შუქნიშანი თრი სახისაა – ანბური და ჯუჯა. ჯუჯა შუქნიშანი ძირითადად გამოყენება სამანევრო შუქნიშის რანგში, აგრეთვე იმ გვერდითი ლიანდაგიდან გასასვლელ შუქნიშად, რომელზედაც გათვალისწინებული არ არის მატარებლის გაუქრებელი გატარება; ჩიხიდან გამოსასვლელ სამანევრო შუქნიშად, ადგილობრივი საექსპლუატაციო პირობების გათვალისწინებით, შეიძლება ანაური შუქნიშანიც იყოს გამოყენებული. როგორც წესი, შუქნიშანი იღებება მატარებლის მოძრაობის დადგნილი მიმართულების მარჯვნა მხარეს ან, როგორც გამონაკლისი, მის მიერ კონტროლირებად ლიანდაგის თავზე, შეკვეთი, გაბარიტის დაცვით.

რეინიგზის სწორ უბანში განლაგებულ შუქნიშანზე, როგორც დღის, ასევე დამის პერიოდში, სასიგნაციო ნიშის ჩვენება უნდა ჩანდეს მკვეთრად არანაკლებ 1000 მ-ის მანძილიდან. რეინიგზის მრუდე უბანში, იგივე ჩვენება უნდა ჩანდეს მკვეთრად, არანაკლებ 400 მ-ის მანძილიდან. ხილვადობის ხელისშემსრულებ პირობებში (ტესის მასივი, დრმა ხევი, ძლიერი ძურუსი და სხვ) ნებადართულია ხილვადობის მინიმალური მანძილი იყოს 400 მ, მაგრამ არანაკლებ 200 მ-ისა. გასასვლელი და სამარშრუტო შუქნიშის ჩვენებაც მკვეთრად უნდა ჩანდეს არანაკლებ 400 მ-ის მანძილიდან, ხოლო პარკში განლაგებულ განაპირობისათვის დონეს.

### 3.3. სალიანდაგო აგტომატური ბლოკირება

დღეისათვის აგტომატური ბლოკირება (აგტობლოკირება – ას) არის მატარებლის რეგულირების ფასრეგსად სრულყოფილი და ეფექტური საშეალება, რომელის დროსაც საგრძნობლად იზრდება გამტარუნარიანობა და მოძრაობის უსაფრთხოების დონე.


ავტობლოკირების დროს გადასარტყენი დაუფლილია ბლოკურებად, რომელიც ქონტროლდება (შემოსაზღვრულია) გასავალებით შექნიშებით. ბლოკურების სიგრძე ტოლია ორ მეტისგან გასავალებით შექნიშანს შორის მანძილისა. ამ მანძილის სიღრძე დამოკიდებულია მატარებელში ვაგონების რიცხვზე, წევის სახეობაზე, გზის პროგრამულობის მოძრაობის სიჩქარეზე, ჩვეულებრივ (სამოსამსახურო) და საგანგებო დამუხტუჭების მანძილზე ამ კრიტერიუმების მიხედვით ბლოკურების სიგრძე შერყვობს 1000-2600 მ-ის ფარგლებში.

გასავალებით შექნიშანზე სიგნალის ავტომატური შეცვლა მიღწევა შემდეგნაირად: თითოეული ბლოკურების საზღვარში მოწყობილია ეწ. სარელაციური წრედი, რომლის საშუალებითაც მატარებელი ზემოქმედებს შექნიშის სიგნალის მართვის აპარატურაზე.

მატარებლის მოძრაობის წესი ითვალისწინებს გარკვეული მოქმედებების მეცნიერებისა. ამ მოქმედებების უმრავლესობა ავტობლოკირების დროს სრულდება ავტომატურად. სადგურიდან ავტობლოკირებით აღმართულ უბანზე მატარებლის გაგზავნისას, მატარებლის მემანქანეს ბლოკურების დაკავების ნებართვა ეძლევა სადგურის მორიგის მიერ, გასასვლელ შექნიშანზე გადაცემებით ნებადამრთველი წვერების მიხედვით. პირველი ბლოკურების ბლოკირება იმ მომენტში, როცა სადგურის გასასვლელი შექნიშან დოკომიტეციის წინა ნაწილის გავლის შემდეგ ავტომატურად იყენება ანუ ნებადამრთველი წვერება იცვლება ამერძალავით და შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სხვა მატარებლის გაგზავნა წინა მატარებლით დაკავებულ ბლოკურებაზე როგორც ითქა, აღნიშნული ქმედება ხდება სარელაციური წრედის მეშვეობით. **სარელაციური წრედი** წარმოადგენს სარელაციო ავტომატების სისტემების საფუძვლებს, რომელიც ასრულებს მოძრავი

შემადგენლობის აღგილმდებარებისა და სარელსო ძაფვბის მთლიანობის შესახებ ინფორმაციის ფორმირების ფუნქციას. იგი შეიძლება განსაზღვრული იქნას კონსტრუქტიული აგბულებისა და ფუნქციური დანიშნულების ნიშნის მიხედვით.

კონსტრუქტიული აგბულების ნიშნის მიხედვით სარელსო წრედი წარმოადგნს კების წეროსა და დატვირთვის (საღვანდაგო რელებს) შემცველ წრედს, რომელშიც ელექტრული ღენის გამტარებად გამოიყენება დაიანდაგის სარელსო ძაფვბი, ხოლო ფუნქციურად (დანიშნულების მიხედვით) – ლიანდაგის მდგმარების მაკინტორლებელი გადამტოდი (სენსორი), რომელშიც აღმტებულ ორგანოს წარმოადგნს სარელსო ხაზი. სარელსო წრედის მოქმედების პრინციპული სქემა ორნიშნა აჯტობლოკირების დროს ნაჩვენებია 3.2 ნახაზზე. როგორც ნახაზიდან ჩანს, სარელსო წრედში ღენის წყროს წარმოადგნს საღვანდაგო ბატარეა (სბ), რომლის შენადგნელობაშია აკუმულატორი (ა) და გამმართველი (გ). ღენის მომხმარებელი – საღვანდაგო რელე (სრ). თუ ბლოკუბანი თავისუფალია, ღენი კეპის წაროდან მოვდინება სარელსო ძაფვბში და შედის საღვანდაგო რელეში, რომელიც ჩაეტავს წრედს სასიგნალო ბატარეასთან (საბ) და შექნიშანზე აისახება მწვანე ფერის ჩვენება. თუ ბლოკუბანი დაკავებულია თუნდაც ერთი გოგონზევილით, მაშინ დენი ვედარ მიდის საღლიანდაგო რელეში, რის გამოც რელეს დუბა გაუმჯობება (მოშორდება) რელეს გულარს და სახეგნალო ბატარეის წრედი ჩაიეტება შექნიშის წითელი ფერის ჩვენებაზე და შექნიშანი ანვენებს წითელ ფერს. იმისათვის, რომ იფუნქციონიროს სარელსო წრედმა, აუცილებელია ბლოკუბნების ინოლირება ერთმანეთსაგან, რისთვისაც პირაპირ შირელებს შორის ათავსებენ საეციალურ იზოლატორს. ღენის სახეობისა და კვების საშუალების მიხედვით, სარე-




ნახ. 3.2. სარგლით წრედის მოქმედების პრინციპული სქემა ავტო- ბლოკირების დროს. ა – ორნაშია ავტობლოკირები; ბ – ავტო- ღოვირების მოქმედების პრინციპი ზოგადი სახით. ვ – იზოლა- რებული პირაპირი; სბ – სალიანდაგო ბატარეა; ა – აქტუელატო- რი; გ – გამმართველი; სრ – სალიანდაგო რელფ საბ – სასიგნა- ლო ბატარეა; წ – წომელი ფერის ჩვენება; მ – მწვანე ფერის ჩვენება

დასო წრედი სხვადასხვაგვარია. არაელექტრიფიცირებულ უბანზე იყენებენ მუდმივი დენის სარელსო წრედს იმპულსური კვებით ან კოიარებულ სარელსო წრედს. ალექტრული წევის დროს როგორც მუდმივი, ასევე ცვლადი დენის პირობებში, სარელსო წრედი მუშაობს ცვლად დენზე, რომელიც შეიძლება იყოს უწყვეტი ან კოდირებული, სხვადასხვა სისტემით.

გადასარბენზე, მთავარი დაინაგის რაოდენობაზე და-მოკედებულებით, ავტობლოკირება შეიძლება იყოს ერთ-ლაინდაგიანი და ორლაინდაგიანი ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მოქმედების პრინციპით. როგორც წესი, ერთლაინდაგიან უბანზე ეწყობა **ორზერიგი ავტობლოკირება**, როცა შექნიშები გადასარბენზე განლაგებულია ორივე მხარეს (ორივე მიმართულებაზე). ამ დროს მოწყობილობა გამორიცხავს იმს შესაძლებლობას, რომ მუზობრელმა სააღაურმა გასასხვლელი შექნიშანი ამავე გადასარბენზე საწინააღმდეგო მიმართულებით მატარებლის გასაგზავნად. ორლაინდაგიან უბანზე ეწყობა **ცალმხრიგი ავტობლოკირება** თოთოველ მთავარ დაინაგიაგზე ცალკალკე. ერთლაინდაგიანი და ორლაინდაგიანი ავტობლოკირების პრინციპული სქემები მოყვანილია 3.3 ნახ-ზე.


განასხვავებულ ავტობლოკირების ორნიშნა, სამნიშნა და ოთხნიშნა სისტემებს, ორნიშნა ავტობლოკირების დროს გამოიყენება მხოლოდ ორი ფერის სიგნალი – წითელი (წ) და მწვანე (მ). სამნიშნა ავტობლოკირების დროს აღნიშნულ ორ ფერს ეძარება კიდევ ყვითელი ფერი (ყ), ხოლო ოთხნიშნა ავტობლოკირების დროს ფუნქციონირებს წითელი, ყვითელი, ყვითელ-მწვანე (ყმ) და მწვანე ფერის სიგნალი. ორნიშნა ავტობლოკირება ძირითადად გამოიყენება მეტროპოლიტენში, სადაც სიჩქარე გაცილებით დაბალია და შემაღვევლობაც პატარა, ვიდრე მაგისტრალურ რკინიგზაზე. ცენტრალურ მიმართულებაზე, სადაც



ნახ. 3.3. ერთლიანდაგიანი (ა) და ორგლიანდაგიანი (ბ) ავტო-  
ბლოკირების პრინციპები სქემით. 1 – გასახვლებლი შუქნიშანი;  
2 – შესახვლებლი შუქნიშანი; 3 – გასაგლებლი შუქნიშანი

სატერიტო მატარებლის მასა რამდენიმე ათასი ტონაა, ხოლო სამგზავრო მატარებლის მოძრაობის სიჩქარე გაცილებით მაღალი სატერიტოსან შედარებით, გამოყენებულია სამნიშნა ავტობლოკირება. ამ დროს ორი ერთმანეთისაგან მოძრავი მატარებელი, გამოჯნებულია ერთმანეთისაგან მინიჭებული თრი ბლოკუნით, ხოლო ნორმალურ პირობებში ეს რაოდენობა შეადგენს სამს. ცხადია, რომ ამ დროს უზრუნველყოფილია მატარებლის მოძრაობის უსა-  
ურთხოება მაღალი სიჩქარის პირობებში.

რკინიგზის იმ უბნებზე, სადაც სამგზავრო მატარებლის ვაცილებით ინტენსიური მოძრაობაა და კურსირებს სხვადასხვა კატეგორიის სამგზავრო მატარებელი, რომელთა მოძრაობის სიჩქარები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, გამოყენებულია ოთხნიშნა ავტობლოკირება. ამ დროს შესაძლებელი ხევბა თრი ერთი მიმართულებით მოძრავი მატარებელი გამოჯნებული იყოს ერთმანეთისაგან სამი ბლოკუნით, ხოლო ნორმალურ პირობებში (მოძრაობის გრაფიკში რეზერვის არსებობის დროს) –




ნახ. 3.4. სხვადასხვა სახის ავტობლოკირება

თოხი ბლოკირით. 3.4 ნახ-ზე ნაჩვენებია სხვადასხვა რა-ოდენობის სიგნალით მოფურქციონირე ავტობლოკირების სქემა. თოხნიშნა ავტობლოკირების დროს გასაფარდი შუქნიშნის მწვანე ფერის ჩვენება ამცნობს მემანქანებს, რომ წინ თავისუფალია სულ ცოტა სამი ბლოკიანი. როდესაც შუქნიშანზე ერთდღროულად აითვება ყვითელი და მწვანე ფერი – ეს ნაშნავს, რომ წინ თავისუფალია მხოლოდ თრი ბლოკიანი. თოხნიშნა ავტობლოკირება საშუალებას იძლევა სრულად იქნეს გამოყენებული ლოკომოტივის

მოძრაობის უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით.

### **34. აგტომატური სალოგომოტივო სიგნალიზაცია და აგტოსტოპი**

მატარებლის დიდი სიჩქარით მოძრაობის პირობებში და, საერთოდ, უსაფრთხის მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, მემანქანე ვალდებულია ზუსტად და თავისღროულად შეასრულოს გადასარტყებზე განლაგებებული შექნიშების სიგნალის მოთხოვნები, მაგრამ ზოგჯერ ცუდი კლიმბებური და მექანიკურობიური პირობების გამო (თოვლი, ბურუსი, წეიძა და სხვ), მემანქანემ შეიძლება ვერ აღიქვას დროულად შექნიშის ჩვენება და გაიაროს ამერადავი სიგნალი (რაც პოტენციურად ქმნის უბედური შემთხვევის შესაძლებლობას). რომ გამოირიცხოს ასეთი შემთხვევები, ამ მიზანს ემსახურება აგტომატური სალოგომოტივო სიგნალიზაციის სახლით ცნობილი მოწყობილობა (ასე). უმრავლეს შემთხვევაში ის უბნები, რომლებიც აღჭურვილია აგტომოლოკირებით, ასევე აღჭურვილი არიან ასე-ით, ე.ო. ასე-ის უშუალო დანიშნულებაა მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის დონის ამაღლება. ასე-ის ფუნქციონირება გულისხმობის სალიანდაგო (გასავლელი) შექნიშის ჩვენების ზუსტების გადაცემის სალოკომოტივო შექნიშანება. ასე-ის მოქმედების პრინციპული სქემა ნიჩვებებია 3.5 ნახ-ზე. როგორც ნახავიდან ჩანს ასე-ის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: წინამდებარე გასავლელი შექნიშის ჩვენება სალოკომოტივო შექნიშანს გადაუცემა იმპულსის სახით, სარკელსო წრების საშუალებით. მიღებული იმპულსი იშიფრება დეშიფრაციორის მეშვეობით და მათი დანიშნულების მიხედვით გადაცემა სალოკომოტივო შექნიშანს. თუ სალოკომოტივო შექნიშანზე ასახა ამკრ-



ნახ. 3.5. აეტომატური სალოფომტივით სიგნალიზაცია (ასე). ა - ასე ზოგადი საწილა; ბ - ასე-ის მოწყველის პრინციპულური სქემა; ს-შ - სალოფომტივით შექნიშანი; გ - მწვანე ფერის ჩვენება; ჟ - ყვითელი; ც/წ - ყვითელ-წითელი; წ - წითელი; თ - თურა; კაა - კოდირებული აეტომტლოკირების აარატურა; მპ - მიმღები კოჭი; ფ - ფოლტრი; გმ - გამაძლიერებელი; გ - გვერატორის დაწ - დამზადებული; ს - სასტაციო დაბალ-ხმელვი სიგნალის გამოსცემა; სს - სივხის ხლის სახელური; სმ - სამუხრაულო მაგისტრალი

ძალავი ჩვენება, გაისმის გაბმული, დაბალხმოვანი სიგნალი. შემანქანე ვალდებულია ამ სიგნალის შემდეგ ხელი დააჭიროს კან. სიფხოზდის სახელების, რომელიც თიშავს ავტომატური დამუხრუჭების სისტემას, ანუ „ავტოსდექტ“, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია გაწერება, მემანქანე აჩერებს მატარებელს. თუ აგტომატური დამუხრუჭების სისტემის გათიშვა სხვადასხვა მიზეზით არ მოხდა, მატარებელი ჩერდება თავისით ავტომატურად ჩართული სამუხრუჭო სისტემის საშუალებით. ავტომატური დამუხრუჭების სისტემის გათიშვა ხდება 5-7 წმ-ის განმავლობაში.

ექსპლუატაციის პირცესში სალოკომოტივო შექნიანებები გამოისახება მწვანე, ყვითელი, წითელ-ყვითელი და თეთრი ფერები. თეთრი ფერი ინთენსიუმით შემთხვევაში, თუ მატარებელი მოძრაობს სასაღერი, არაკონირებული ლაბანდაგთ ასე-ის უფრო სრულყოფილი სისტემა დადა სიჩქარით მოძრაობის პირობებში, უზრუნველყოფს მატარებელთა უსაფრთხოებას შემდეგ კონკრეტულ სიტუაციებში: ამოწმებს მატარებლის გასასვლელი დაინადაგის სითავისუფლეს და მატარებლის მიახლოებას ამკრძალავ შექნიანთან არანაკლებ სამუხრუჭო მანძილზე; დასაშეებ სიჩქარეს საღვარის შესასვლელ შექნიანთან მატარებლის მიახლოებისას მიხი გვერდით ლაიანდაგში მიღების დროს.

კოველივე ზემოთ იქმული საშუალებას იძლევა ადინიშვნოს, რომ ასე-ის შეშვებით საერთოდ გამოირიცხება, ან მინიმუმადე დაიყვანება მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების დარღვევის აღბათობა.

### **3.5. ნახევრად ავტომატური ბლოკირება**

ნახევრად ავტომატური ბლოკირების სისტემა (ნახევრად ავტომატურება – ნაბ) გამოიყენება ნაკლებად დატვირთულ უბნებზე გამტარუნარიანობის შედარგით დიდი რეზერვით. იგი არის ავტომატური ბლოკირების გამარტივებული სახე. პრიციპული განსხვავება აბ-სა და ნაბ-ს შორის ძლიერია არებების ინაში, რომ ნაბ-ის დროს, ნორმალურ პირობებში, გადასარტებნები, ორ მეზობელ სადგურს შორის, შესაძლებელია ერთი მიმართულებით მომრავი მხოლოდ ერთი მატარებელის ყოფნა, მაშინ როცა აბ-ის დროს გადასარტებნები შეიძლება იმუსჯებოდეს ერთი მიმართულებით მომრავი რამდენიმე მატარებელი. ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ ნაბ-ის დროს გადასარტებნი არ არის დაყოფილი ბლოკებისად, რადგან საჭირო გამტარუნარიანობის რეალიზაციის თვალსაზრის-ხით ამის აუცილებლობა არ არის, კი. ნაბ-ის დროს სადგური აღჭურილია შესასვლელი და გასასვლელი შუქნიშნებით, ხოლო გადასარტებნები გასავლელი შუქნიშნები არ იდგმება. ნორმალურ პირობებში სადგურის გასასვლელი შუქნიშნები დაკავშირდია.

მატარებლის მიერ გადასარტებნის დაკავების ნება-რთვა არის სადგურის მორიგის მიერ სათანადო ღილაკის მეშვეობით გასასვლელ შუქნიშნებე ნებადმრთველი (მწვანე) ფარის წევნება. ერთლიანდაგიან უბნებე აღნიშნეული ქმედებით განხორცილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სადგურის მორიგე ამის შესახებ შეუთანისმდება მეზობელი სადგურის მორიგეს, ხოლო ორდიანდაგიანები – მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოცემული სადგურის მორიგე მეზობელი სადგურიდან მიიღებს სიგნალს უკვე გაგზავნილი მატარებლის მეზობელ სადგურში შესვლის თაობაზე. მატარებლის

გაგზავნის შესახებ ეცნობება მეზობელ სადგურს და ორივე სადგურის ტაბლოზე დაფიქსირდება გადასარტნის დაკავება, რის შემდეგაც გამოირიცხება ამ სადგურებიდან დაკავებულ გადასარტნება სხვა მატარებლის გაგზავნა.

ნაბის დროს, თუ სადგური აღჭურვილია ელექტრული ცენტრალიზაციით, მატარებლის გაგზავნისა და მიღების მარშრუტს ამზადებს სადგურის მორიგეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისრების მომსახურებას ახორციელებს საისრო პოსტის მორიგეობა. ნაბის მოწყობლიუმებში გამოყენებულია სარელევო ხისტემები. ნახევრად ავტომატური ჯიბის დროს სადგურის სარელევო მართვის პულტის აქტების მართვისათვის საჭირო სათანადო დილაქები და საკონტროლო ნათურები (თეორიული, ყვითელი, წითელი), რომელთა მუშაობითაც გამოიხატება სასადგურო სიგნალების, დაიანძაგებისა და გადასარტნების მდგომარეობა.

### 3.6. სადგურის ელექტრული ცენტრალიზაცია

ელექტრული ცენტრალიზაციის (ეც) დანიშნულებაა სადგურის ცენტრალური მართვის პოსტიდან სხვადასხვა სახის მარშრუტის გასამარტინებლად ისრები და შექნიშენები ელექტრული ძალის გამოყენებით მართვის ცენტრალურებულად ეც-ს მმართველობითი ფუნქციები. არ იხდება მანძილის მიხედვით ისე, რომ შესაძლებელია ერთი მართვის პულტების ნებისმიერი, რაგინა დადი სადგურის ობიექტების მართვა აღნიშნულ რეჟიმში. ეც, გარდა მმართველობითი ფუნქციებისა, უზრუნველყოფს ისრებისა და სიგნალების მდგომარეობაზე ავტომატურ კონტროლს, ამცირებს მარშრუტის გამზადების დროს (5–7 წმ 6–10 წუთის ნაცვლად, როცა ისრები გადამჟყანი იმართვება ხელით), გამორიცხავს მეინის საშტატო ერთვულს, მკვთრად ამაღლებს სადგურის გამტარუნარიანობასა და

მოძრაობის უსაფრთხოების დონეს ისრული გადამჭვანისა და სიგნალის ურთიერთზე დამოკიდებული მოწყობილობებით.

ეც-ს კლასიფიცირება შეიძლება სხვადასხვა ნიშის მიხედვით. მარშრუტების მომზადების ნიშის მიხედვით განასხვავებენ ინდიგიდუალურ (დანაწევრებითი), სამარშრუტო, პროგრამულ და ავტომატური სახის კლასტრულ ცენტრალუზაციებს. სისტემის ასაგებად გამოყენებული საელექტრო ბაზის მიხედვით განასხვავებენ სარელევო, კლასტრონულ (ტრანზისტორულ) და მარკოპროცესორულ კლასტრულ ცენტრალუზაციებს; მარშრუტების შესხინის ნიშის მიხედვით განასხვავებენ საბარშრუტო და სექციური შესხინის (ცენტრალიზაციებს; კვების წყაროებისა და ასარატურის განთავსების ნიშის მიხედვით განასხვავებენ აღგილობრივი მართვისა და აღგილობრივი კვების, ცენტრალური დამოკიდებულებებისა და აღგილობრივი კვების, ცენტრალური დამოკიდებულებებისა და ცენტრალური დამოკიდებულებებისა და ცენტრალური კვების კლასტრულ ცენტრალიზაციებს.

საქართველოს რეინიგზახე დღეისათვის გამოყენებულია სამარშრუტო, სარელევო, ცენტრალური დამოკიდებულებებისა და ცენტრალური კვების სექციური შესხინის კლასტრული ცენტრალიზაციები. შემოწმენილია აგრეთვე ინდიგიდუალური მართვის სისტემები. პერსპექტივაში გაოცდისწინებულია მათი შეცვლა მიეროპროცესორული სისტემებით.

ნებისმიერი სახის სარელევო კლასტრული ცენტრალიზაციის ძირითადი კლასტრებია:

- ცენტრალურ პოსტზე განთავსებული ცენტრალიზებული მართვის აპარატი, რომელიც შედგება პულტისა და შექტაბლოსაგან. პულტზე განთავსებულია მშართველი ორგანიზები (დილაკები, სახელურები, კომუტატორები, კვერთხ-გასაღებები), ხოლო ტაბლოზე – იზოლირებული

უბნების, მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგების, შექნიშანთა მამეორებლების, ისრული გადამყანების მნემოსქემები და სხვადასხვა საინდიკაციო ნათურები;

- შესასვლელი, გასასვლელი და სამანევრო შექნიშები;

- ისრების ერთი მდებარეობიდან მეორეში გადამყანი ისრული ელექტროამძრავები;

- სასადგურო ობიექტებისათვის (ისრებისა და შექნიშებისათვის) ელექტროუნერგიის მისაწოდებლად აუცილებელი საკაბეჭლო ქსელი;

- იზოლირებული უბნებისა და მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგების მდგომარეობის მაკრინილდებული სარეცსო წრედები;


- პვების წყაროები.

3.6 ნახ-ზე მოყვანილია ელექტრული ცენტრალიზაციის მოქმედების ზოგადი სქემა.

მცირე და საშუალო სადგურებში ხდება პულტისა და ტაბლოს ურთიერთშერწყმა, კერძოდ, ტაბლოზე არსებულ მნემოსქემებზე ან აღნიშეული მნემოსქემების განთავსების ზედა და ქვედა ნაწილებში, გარდა საინდიკაციო ნათურებისა, მონტაჟდება მმართველი დეტალებიც.

დიდი სადგურების შემთხვევაში პულტზე არსებული მმართველი დეტალები გარკვეული წესით ჯგუფდება და მონტაჟდება სადგურის მორიგის სამუშაო მაცდიაზე, რომელიც ამის შემდეგ იღებს მანიპულატორის სახელწოდებას. მანიპულატორიდან 2-3 მეტრის დაშორებით განთავსება დიდი ზომის შექტაბლი.

მცირე სადგურებში გამოიყენება ინდიკიდუალური (დანაწერებითი) მართვის სარელევო ცენტრალიზაცია. ასეთი ცენტრალიზაციის დროის მარშრუტის მისამზადებლად ად მართვის პულტ-ტაბლოზე არსებულ სათანადო დილაპეზზე ზემოქმედებით შესაბამის მდგომარეობაში გადაი-



ნახ. 3.6. ელექტრული ცენტრალიზაციის მოქმედების ზოგადი სქემა. а – ელექტრული ცენტრალიზაციის მოწყიბილობები ზოგადი სახით; ბ – სამარშრუტო-სარკლევო ცენტრალიზაციის მართვის პულტი; 1 – შესასვლელი შუქიზები; 2 – გასასვლელი შუქიზები; 3 – ისრული გაღმევნის შექნიში; 4 – ელექტრული ცენტრალიზაციის (სამარშრუტო-სარკლევო ცენტრალიზაციის) მართვის პულტი; 5 – სარკლევო აარტურა; 6 – დამტებტაფ-განმუხავი ფარები; 7 – სააკუმულატორო

კვანება მარშრუტში შემავალი ისრები და შემდეგ სახი- გნალო დიღაკით გადება ამ მარშრუტში შესახვდება (მიღების მარშრუტის დროს) ან ამ მარშრუტისან გასახ- ვდება (გაზავნის მარშრუტის დროს). შექნიშანი.

ინდივიდუალური მართვის ელექტრულ ცენტრალიზა- ციაში გამოიყენება კ.წ. წერტილოვანი სახის ტაბლო, რომელზეც იხოლირებული უძნების თავისუფლება კონ- ტროლდება ამ უძნების მნემისკემათა შეა ნაწილში ჩამო- ნტავებული თეორი ნათურებით. ამ ნათურების ნათება გვივნებს, რომ შესაბამისი იხოლირებული უბანი დაკა- ვებულია. იხოლირებული უბის თავისუფლების დროს შესაბამისი საინდიკაციო ნათურა ჩამქრალია.


საშუალო და დიდ სადგურებში გამოიყენება სამა- რშრუტო მართვის სარგლევო ცენტრალიზაცია, რომელსაც სარელეკ-სამარშრუტო ცენტრალიზაცია ეწოდება. ასეთი ცენტრალიზაციის ღრის ნებისმიერი სირთულის მარშ- რუტის მიმსადება ხდება ორ (ძირითადი მარშრუტის დროს) და რამდენიმე (ვარიანტული მარშრუტის დრო) სამარშრუტო დიღაკებებით. ამის შემდეგ სისტემა თვითონ გადაიყვანს მარშრუტში შემავალ ისრ- ებს სათანადო მდგომარეობაში. შეამოწმებს მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის პირობებს და მათი დაცვის შემთ- ხვევაში გაადებს სათანადო შექნიშნის.

ასეთი სახის სარგლევო ცენტრალიზაციაში გამოიყე- ნება დარაკეფანი ტიპის შექტაბლო. ამ უკანასკნელზე სალისნდაგო განვთარების გამომსახველი მნემისსექტები შექუჯრედებითა წარმოქმნილი. შექუჯრედი წარმოად- გენს გამჭვირვალე საფარის მქონე პატარა დარაქს, რომე- ლშიც ორი საინდიკაციო ნათურა ჩამონიტაჟებული. შექუ- ჯრედების უმრავლესობაში ჩამონიტაჟებული ნათურებიდან ერთ-ერთს გააჩნია თეორი, მეორეს კი წითელი ლინია. ნორმალურ მდგომარეობაში (მარშრუტის არასექტობისას)

კველა საინდიკაციო ნათურა ჩამქრალია. რომელიმე მარშრუტის გამზადებისას გაშუქდება ამ მარშრუტში შემავალი იზოლირებული უბნებისა და მამდებ-გამგზავნი დიანოდაგის შესაბამისი შუქუჯრედების სათანადო საინდიკაციო ნათურები. კერძოდ, კველა იმ ობიექტის თავისუფლების დროს აინთება თუთრლიინხებიანი საინდიკაციო ნათურები და მარშრუტის ტრასა გაშუქდება თვთრად. მარშრუტში შემავალი რომელიმე იზოლირებული უბნის დაკავების შემთხვევაში ამ უბნის შუქუჯრედებში ჩაქრება თუთრლიინხებიანი და აინთება წითელინხებიანი საინდიკაციო ნათურები და უბანი გაშუქდება წითელი. შემდგომში ამ უბნის განთავსუფლებისას ჩაქრება წითელინხებიანი ნათურებით და უბანი დარჩება გაუშუქებელი ანუ ჩამქრალი.

### 3.7. დისპეტჩრული ცენტრალიზაცია

დისპეტჩრული ცენტრალიზაცია (დც) არის ავტობლოკირებისა და ელექტრული ცენტრალიზაციის სინთეზი, რომლის საშუალებითაც სამატარებლო დისპეტჩერი თავისი მართვის პულტიდან მართავს მთელი უბნის შეაღებურებულ უბნებსა და შუქნიშნებს სადგურის მორიგის გარეშე და არეგულირებს მტბარებელთა მომრაობას. სამტბარებლო დისპეტჩერი, როგორც წესი, მართავს 100–200 ქმ სიგრძის უბნებს, რომელზეც შეიძლება იყოს განლაგებული 10–20 სადგური. ამ დროს სამატარებლო დისპეტჩერი თვითონ ამზადებს მიღებისა და გაგზავნის მარშრუტებს, აღებს და კეტავს შესასვლელ და გასასვლელ შუქნიშნებს. მას არ სჭრდება სადგურის მორიგის დახმარება. გამჟოვ პუნქტზე ისრული გადამყანის, სიგნალების მართვისა და მათი გაკონტროლების მიზნით,



ნახ. 3.7. დისპერზერული ცენტრალიზაცია. ა - დისპერზერული ცენტრალიზაციის მოქმედების ზოგადი სქემა; ბ - დისპერზერული ცენტრალიზაციის მართვის პულტი

სამატარებლით დისპეტჩერის სამუშაო ოთახში დამონიტაჟე-ბულია პულტ-მანიაკულატორი და ქრან-ტაბლო. დისპეტ-ჩერული ცენტრალიზაციის მოქმედების ზოგადი სქემა ცენტრალური მართვის პულტის ჩემპებით, მოყვანილია 3.7-ნას-ზე.

იმისათვის, რომ სამატარებლით დისპეტჩერმა გადა-სცეს ბრძანება უნის რომელიმე შეაღედურ სადგურში, ზემოქმედებს სადგურის აღწიულებლ ღილაკზე, რის შედეგადაც ტაბლოსა და მანიაკულატორზე განათდება სადგურის დასახელება. ეს ნაშენვს, რომ სადგური ჩართულია მანიაკულატორის მართვის წრედში. ამის შემდეგ დისპეტჩერი იყენებს კონკრეტულ სადგურში ამა-თუ იმ მარშრუტის აკრეფისათვის საჭირო ღილაკებს და ამ გზით აგზავნის სადგურზე იმპულსთა კომბინაციას – კოდირებულ დენს, რომელიც აიძულებს საუკიალურ სელსაწყოებსა და მექანიზმებს, გადაიყვნოს სირეპი სა-ჭირო მდგომარეობაში და გააღის შესაბამისი სიგნალები. გამოყოფ პუნქტზე მოთავსებულია სარელეო კარადა (ნახ. 3.7a), რომელშიც დამონიტაჟებულია მოწყობილობები. აქ ხდება დისპეტჩერული ცენტრალიზაციის ცენტრალური მართვის პულტიდან (მანიაკულატორიდან) გამოგზავნილი სიგნალების მიღება და დანიშნულებისამებრ გარდაქმნა. კოველი შეაღედური სადგურის სარელეო კარადაში სელსაწყოები მოიპროექტა იმპულსთა განსაზღვრულ კომბინაციაზე. რის გამოც ისინი დაბულობენ შეოღოდ მათვის განკუთვნილ ბრძანებებს. როგორც კი ისრული გადამყვანები დაიტერენ შესაბამის მდგომარეობას და გაიღება სადგურის შესახვლელი შექნიშანი, სამატა-რებლით დისპეტჩერის გრან-ტაბლოს გამზადებულ მარშრუტზე, ანისება თეთრი ზოლი, ხოლო შესახვლელი შექნიშნის აღმნიშვნელ ნათურაზე – შევანე ფერი. სადგურში, აღნიშნული მარშრუტით მატარებლის მიღების

პორცესში, სამატარებლო დისპეტჩრის გერანტაბლოზე თვეთრი ფერი შეიცვლება წითლით, ხოლო შესახლები შუქნიშაი ჩაქრება.

დც-ს დროს გამჟოვ პუნქტებზე გათვალისწინებულია ისრებისა და სიგნალების სარეზერვო და აღვიდობრივი მართვა. სარეზერვო მართვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე ხელისშემძლევლი მიზეზის გამო (შესაძლო დაზიანება კოდირების გადამცემ ხაზში, ისრეული გადამჟანის მდგომარეობის ყალბი ჩვენება და სხვ) სამატარებლო დისპეტჩერი კარგავს მართვის შესაძლებლობას მოცემულ გამჭვივ პუნქტზე. ამ შემთხვევაში მისი განკარგულებით მორიგეობას იწყებს გამჟოვი პუნქტის უფროსი (სადგურის უფროსი) და მას გადაეცემა ისრებისა და სიგნალების მართვა სპეციალურ სარეზერვო პულტზე.

როდესაც აუცილებელია შეაღეთეურ სადგურზე რაიმე სახის სამანევრო თაქიაციების განხილვისას, პირი, რომელიც ორართოების მანევრებს, აღებს კ.წ. სამანევრო ფარს, რომელიც მოთავსებულია შეაღედური სადგურის ორივე უელში განლაგებულ გასახვლელი შეკნიშების ანებზე (საისრო ჯიხურებში) და იქ არსებული სატელეფონო კაუშირის საშუალებით თხოვს სამატარებლო დისპეტჩერს ისრების აღვიდობრივ მართვაზე გადაყვანს. სამატარებლო დისპეტჩერი შესაბამისი დილაკების მეშვეობით გათოშავს ისრებს ცენტრალურ მართვის სისტემიდნ. ამის შემდეგ ისრების გადაყვანა აღვილზე, საჭირო მდგომარეობაში, შესაძლებელია სპეციალურ სახელურის მეშვეობით, რომელიც ასევე ინახება სამანევრო ფარში.

დიდ სადგურს, სადაც შეშეძლის ხასიათისა და მოცულიბის მიხედვთ აუცილებელია სადგურის მორიგეის კოფნა, როგორც წესი, დისპეტჩერულ ცენტრალიზაციაში არ რთავენ.

### **3.8. ელექტროგენერობული სისტემა**

შეიძლება ითქვას, რომ დღესათვის ელექტროგენერობული სისტემა სისტემა ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებს. იგი შესაძლებელია შემორჩენილი იქნა მხოლოდ მცირე სიმძლავრის ზოგიერთ ერთლიანდაგიან უბანზე. მისი მოქმედების პრინციპი შემდეგია: ორი მოსაზღვრე სადგურის ელექტროგენერობული აარატები დაკავშირდებულია ერთმანეთთან ელექტროგენერობული იქნა რომ თითოეული აარატიდან შესაძლებელია ამოდებული იქნეს მოსაზღვრე სადგურებს შორის არსებული გადასარტყის მატონტროლებელი მხოლოდ ერთხელ იქნება. რადგანც გადასარტყის დაკავების წებართვას ამ შემთხვევაში წარმოადგენს კერთხი, რომელიც გადაეცემა მატარებლის მემანქანეს სადგურის მორიგისაგან, გადასარტყენზე შეიძლება გაიგზავნოს მხოლოდ ერთი მატარებელი.

იმ მიზნით, რომ შეუძლებელი იქნა ერთი აარატის კერთხის ჩადება მეორე აარატში, როგორც ელექტროკერთხელი აარატი ისე კერთხი მზადდება სხვადასხვა სერიის. ერთი და იმავე სერიის აარატის დაყენება გადასარტყნელი წებადართულია მინიმუმ სამი სხვა სერიის აარატის შემდეგ.

მატარებლის მოსვლა მეზობელი სადგურიდან ფიქსირდება მემანქანის მიერ კერთხის უკან მოტანით და მისი შენახვით (ჩადებით) აარატის შესაბამის ჭრილში.

### **3.9. ჯავშირის სახეები რეინიგზის ტრანსპორტზე**

მატარებლთა მოძრაობის ორგანიზაციის განსახორციელებელ ტექნიკურ საშუალებებში უმნიშვნელოვანები ადგი ლი უჭირავს კავშირის სახეებს. მიზანშეწონილად

მიგადანია აღნიშნული საკოთხი განვიხილოთ ორ ეტაპად: საბჭოთა კავშირის დაშლამდე და მის დაშლის შემდეგ. საბჭოთა კავშირის პირობებში და მის დაშლამდე (1991 წ.), საბჭოთა კავშირის რეინიტებზე და მათ შორის ამიერკავკასიის რეინიტაზეც, რეინიტის საექსპლუატაციო მუშაობის განხორციელების მიზნით, არსებობდა კავშირის შემდეგი სახეები:

**მაგისტრალური** – სამოსამსახურო კავშირურთიერთობისათვის საკავშირო სამინისტროს ხელმძღვანელებსა და ცალქული გზის ხელმძღვანელებს შორის, მოცემული რეინიტის ხელმძღვანელობასა და მეზობელი რეინიტების ხელმძღვანელებს შორის;

**საგზაო** – სამოსამსახურო კავშირურთიერთობისათვის და ინფორმაციის გადასაცემად რეინიტის ხელმძღვანელობასა და გზის მსხვილ საწარმოებს შორის;

**სამუშაოებულებელი** – სამოსამსახურო კავშირურთობისათვის გადაზიდვის სამსახურის ოპერატორულ-განმკარგულებელი განყოფლების მორიგეობის სადგურისა და დეპოს მორიგეობის შორის, სამატარებლობით და სასადგურო დისპეტჩერებთან;

**სამატარებლო-სადისაპეტჩერო** – სამოსამსახურო კავშირურთიერთობისათვის სამატარებლო დისპეტჩერსა და სადისაპეტჩერო უბნის სადგურის მორიგეობის შორის. გარდა აღნიშნულისა, სამატარებლო-სადისაპეტჩერო კავშირში ჩართული იქმობა გარეთვე სადგურის სამსახურო დისპეტჩერები, ოპერატორები, სალოკომოტივო დეპოსა და ქვესადგურის მორიგეობი, ენერგო- და სალოკომოტივო დისპეტჩერები, სცბ-ს მორიგე ინჟინრები;

**ენერგოსალისაპეტჩერი** – სამოსამსახურო კავშირურთიერთობისათვის ენერგოდისაპეტჩერსა და წვევის ქვესადგურების შორის, ასევე წვევის ქვესადგურის დაჭვმდებარებაში მყოფ ქვედანაყოფებს შორის;

**სამოსამსახურო კავშირი სცბ-სა და კავშირგამმულობის უფლებულებენისაუფლებისათვის** – სიცნალიზაციისა და პატშირებამმულობის დისტანციის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებს შორის კავშირის დასამუშარებლად, გადასარენერებელისა და სადგურებში აეტომატიკის, ტელემექანიკისა და კავშირგამმულობის მოწყობილობების ნორმალურ ფუნქციონირებაზე კონტროლის მიზნით.

**სასადგურო** – სამოსამსახურო კავშირუროიერობისათვის უბანებ განლაგებულ სადგურის თანამშრომლებს შორის, ასევე ზემდგომი ხელმძღვანელების მიურ სადგურის თანამშრომლებისა და კავშირის დასამუშარებლად;

**სახაზო-ხალისნაგო** – დისტანციის მუშავია შორის კავშირის დასამუშარებლად ნაგებობისა და მოწყობილობის მოვლა-შენახვისა და შეკეთების საკითხებზე. მაგვე კავშირშია ჩართული იყო დისტანციის უფროსის, ოსტატის, ბრიფინგისა და სხვათა ტელეფონები;

**სამატარებლო-სადგურთშორისი** – სამოსამსახურო კავშირუროიერობისათვის თრ მეტობებულ სადგურის მორიგეს შორის მატარებელთა მოძრაობის საკითხების შესახებ;

**საგადასარბერო** – სამოსამსახურო კავშირუროიერობისათვის სალიანდაგო სამუშაოს ხელმძღვანელის, სცბ-ს, კავშირგამმულობისა და საკონტაქტო ქსელის ელექტრომექანოსა და ლიანდაგის შემომტარებულების სადგურების მორიგების შორის. ამავე კავშირით სარგებლობდენ საჭიროების შემთხვევაში გადასარტყებებს მუიფისალოების მომზადებით ბრიფინგი აეტომატიკით ადგენერირებულ ელექტროიდული რეინიგზაზე. მატარებელთა ინტენსიური მოძრაობის დროს, სატელეფონო აპარატები განთავსებული იყო გასაფლებლ შექნიშნებთანც;

**სანფორმაციო** – დიდ დამხარისხებულ (სატელოთო) სადგურში ინფორმაციის გადასაცემად მისაღები მატარების

ბლეგბის შესახებ;

**საისრო** – სამოსამსახურო კავშირურთიერთობისათვის სადგურის მორიგესა და საისრო პოსტის მორიგებს შორის;

**საფისტერიულ-შიგასასადგურო** – სამოსამსახურო კავშირურთიერთობისათვის სასადგურო და სამანეჟრო დისპეტჩერს, სადგურის მორიგესა და სადგურის სხვა თანამშრომლებს შორის;

**აღილობრივი** – სამოსამსახურო კავშირურთიერთობისათვის ერთ პუნქტში (ერთ ობიექტზე) მყოფ სხვა-დასხვა სამსახურის მუშაკებს შორის;

**საგაონო-სადისპეტჩერო** – სამოსამსახურო კავშირურთიერთობისათვის სათანადო სამსახურის მუშაკებსა და სადგურის შორის, საგაონო პარკის განაწილებისა და გამოყენების შესახებ;

**საბლუოთ-სადისპეტჩერო** – სამგზავრო მატარებელზე ბილეთების გაყიდვის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისათვის;

**მონაცემების გადაცემის კავშირი** – მონაცემების გადასაცემად მათი ჩასახვის პუნქტებიდან რეინიგზის მთავარ უწყებაში; ასევე ანგარიშების შედეგების გადასაცემად დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებაში;

**სათაბარით ქავშირი** – კავშირურთიერთობისათვის რეინიგზის ხელმძღვანელ მუშაკებსა და რეინიგზის მსხვილ სახაზო ქვედნაციფრულების ხელმძღვანელებს შორის.

ზემოთ ჩამოთვლილი კავშირის სახეები ხორციელდებოდა სატელეფონო ან სატელეგრაფო საშუალებებით. გარდა ადინიშნელისა, რეინიგზის ტრანსპორტზე გამოიყენებოდა და ახლაც გამოიყენება რადიოკავშირი. ასევავებენ რადიოკავშირის სამ სახეობას: სამტარებლოს, სასადგუროსა და სარემონტო-იურიულს. **სამტარებლო რადიოკავშირი** ამჟარებს უწვევბ კავშირს სამტარებლო

დისპეტჩერსა და სადისაეტჩერო უბნის ფარგლებში მყოფ დოკომოტიფის მემანქანებს შორის; გადასარტბენზე მყოფ დოკომოტიფის მემანქანება და უახლოეს სადგურის მორიგე შორის; ასევე შემხევდრი მიმართულებით მოძრავ მატარებლის მემანქანებს შორის. **სასაღურო რადიოაგზირი** არის რამდენიმე სახის: სამანქარო, გორაკის, პარეისა და სხვ. სამანქარო რადიოკავშირი უზრუნველყოფდა ორშემორივ კავშირს სამანქარო დისპეტჩერს, სადგურის მორიგეს, შემძლევნელთა ბრუგადებსა და სამანქარო დოკომოტიფის მემანქანებს შორის სადგურის ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო დიდ სადგურში – სამანქარო რაიონის საზღვრებში. გორაკის რადიოკავშირი გამოიყენება სამოსამსახურო კავშირურთიერთიობის დასამყარებლად გორაკის მორიგესა და გორაკის ლოკომოტიფის მემანქანებს შორის. **სარემონტო-თესრატიული რადიოკავშირი** შესაძლებელი იყო კავშირის დაჭარბია გადასარტბენზე სარემონტო სამუშაოების ხელმძღვანელის, სამატარებლო დოკომოტიფის მემანქანება და შესაბამისი სამსახურის პასუხისმგებელ პირებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ კავშირის ზემოთ ჩამოთვლი-დი სახები უკვე დამოუკიდებელი საქართველოს რეინი-ზაზე, უუნქციონირებდა თოთქმის 2000 წლამდე. ბოლო ათწლეულში აღნიშნულმა სფერომ გაინცადა უდიდესი პროგრესი. რეინიგზის კავშირგაბმულობის მოწყობილობები აღიზურვა ოპტიკურ-ბრჭყოფნი კაბელთა და თანამედროვე ინფორმაციაზეცისა და კომპიუტერიზაციის სისტემებით, კერძოდ, ექსპლუატაციაში შევიდა ციფრული კავშირისა და ინტეგრირებული მონიტორინგის სისტემები.

დღეს საქართველოს რეინიგზაზე, ზემოთ ჩამოთვლილი სისტემებიდან, უუნქციონირებს რამოდენიმე, უპირატესად ინტეგრირებულ მუშავებს შორის, ასევე გამოიყენება რადიოკავშირის სისტემები, ხოლო კავშირის ზემოთ

ჩამოთვლილი სხვა სახეობები ხორციელდება თანამედროვე ციფრული სატელეფონო კაგშირით – პირდაპირი, ქომუტირებადი ან ფიჭური სისტემებით.

## 4. მომრავი უმაღლესობა

### 4.1. ლოკომოტივი

#### 4.1.1. ლოკომოტივის პლასიფიკაცია

რეინიგზაზე მატარებელს ამომრავებს წევის მოძრავი შემაღებლობა, რომელიც იგულისმება ლოკომოტივი, ძრაფავაონიანი ელექტრი- და დაზედ-მატარებელი. ლოკომოტივს მიეკუთვნება: ელექტრომავალი (ელმავალი), თბომავალი, აირტურბომავალი (გაზოტურბომავალი), ორთქლმავალი, მოტორმავალი.

**ელმავალი** არის ლოკომოტივი, რომლის ძირითადი ძრავა ელექტრული ძრავაა. მისი მბრუნავი მომენტი ებილანჯრი გადაცემის საშუალებით მიეწოდება წამყვან გოგორწყვილს, ელექტრული ენერგია გარდაიქმნება მექანიკურ ენერგიად და ელმავალი მოდის მოძრაობაში.

**თბომავალი** არის ლოკომოტივი, რომლის ძირითადი ძრავა დიზელის (თბური) ძრავაა. დიზელის ძრავში საწვავის თბური ენერგია გარდაიქმნება მექანიკურ ენერგიად და მუხლა ლილვის მბრუნავი მომენტი ამა თუ იმ სახის გადაცემის საშუალებით მიეწოდება წამყვან გოგორწყვილს, რითაც თბომავალი მოდის მოძრაობაში.

**აირტურბომავალი** ისეთი ლოკომოტივია, რომლის ძირითადი ძრავა გახის ტურბინაა: სხვა დანარჩენი მახასიათებლებით იგი ფაქტობრივად თბომავალია.

**ორთქლმავალი** არის ლოკომოტივი, რომლის ძირითადი მამოძრავებელი საშუალება ორთქლის მანქანაა. ორთქლმავებელში ორთქლის ძალა გარდაიქმნება მექანიკურად, ორთქლის მანქანის მბრუნავი მომენტი წამყვან გოგორწყვილს გვიღება გადაეცემა მრუდმხარა მექანიზმით და ორთქლმავალი მოდის მოძრაობაში.

**მოტობავალი** არის ლოკომოტივი (იგივე თბომავალი) შიგა წვის ძრავათი, რომლის სიმძლავრე არ აღემატება 300 ცხნის ძალას.

**ელექტრომატარებელი** გამოიყენება სამგზავრო საგარეულოს გადაზიდვებში ელექტრიფიცირებულ უბანზე იგი ელექტროენერგიას დემულობს საკონტაქტო ქსელიდან და ელექტრული წვის ძრავას საშუალებით გარდაქნის მას მექანიკურ ენერგიად.

**დიზელმტარებელი** ხორციელდება სამგზავრო-საგარეულოს გადაზიდვები არაელექტრიფიცირებულ უბანზე. იგი წარმოადგნს მუდმივად ფორმირებულ სამგზავრო შემადგენლობას, რომელშიც ჩართულია ერთი ან ორი დიზელის ძრავიანი ვაგონი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ლოკომოტივებისა, წვის მოძრავ შემადგენლობას მიყენება ასევე ავტომოტრისა და აუმულატორული მტბრებელი.

**აგრძოლებულის** შეღება ერთი (ან ორი) არასტანდარტული ვაგონისაგან (მგზავრთა გადასაყვანად), რომელშიც დამორჩაუებულია თბური ძრავა.

**აუმულატორულ მატარებელში** წვის ძალად გამოიყენება ულიანი წვის აუმულატორული ბატარეები.

**ენერგიის მიღების თეალსაზრისით** ლოკომოტივი შეიძლება იყოს აგტიომოტიური და არააგტიომოტიური. ავტონომიური ლოკომოტივი მოძრაობისათვის საჭირო ენერგიას გამოიმუშავებს თვითით, გარე წყაროს დაუბრარებლად. არააგტიომოტიური ლოკომოტივი მოძრაობისათვის საჭირო ენერგიას დემულობს გარეშე წყაროდან. მას მიეცუთვნება ელმავალი და ელექტრომატარებელი. კველა დანარჩენი, ლოკომოტივის ზემოთ ჩამოთვლილი სახეობა, მიეცუთვნება ავტონომიურს.

**სამუშაოს ხასიათის მიხედვით** განასხვავებულ მაგისტრალურ და სამანევრო ლოკომოტივებს. თავის

მხრივ, მაგისტრალური ლოკომოტივი შეიძლება იყოს სატვირთო, სამგზავრო და სატვირთო-სამგზავრო. სატვირთო ლოკომოტივს აქვთ შედარებით დიდი წონა, გამოირჩევა დიდი სიმძლავრით, დერძის დაწოლაც რელსზე მაქსიმალურია და აქვს შედარებით ნაკლები კონსტრუქციული სიჩქარე. სამგზავრო ლოკომოტივი გამოირჩევა შედარებით ნაკლები წონით, დიდი კონსტრუქციული სიჩქარით შედარებით ნაკლები სიმძლავრის პირობებში. სატვირთო-სამგზავრო ლოკომოტივს შეუძლია როგორც სატვირთო, ასევე სამგზავრო რეჟიმში მუშაობა. სამანქანო ლოკომოტივი განკუთხინილი სამანქანო მუშაობისათვის. ის ფუნქციონირებს ძირითადად დაბალი სიჩქარის პირობებში. მისი გამოყენება ხდება სადგურში, დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტება და მისახლეულ დაინდაგში.

**დერძის რაოდენობის მახვილეობის შემთხვევა** და იყის 4-, 6- და 8 დერძანი.

**სატვირთო ნაწილის ტიპის მახვილეობის შემთხვევა** ურიკებიანი და უურიკო. კველა ტიპის თანამედროვე ლოკომოტივი ურიკებიანია.

#### **4.12. ელმაგალი და თბომაგალი. საქართველოს რეკინგზაზე გამოყენებული ლოკომოტივები**

ელმაგალი და თბომაგალი წარმოადგენს სამსტარებლო წევის ძირითად საშეადგებას. დენის სახეობის მიხედვით ელმაგალი შეიძლება იყოს მუდმივი დენის, ძაბვით 3000 კოდტი და ცვლადი დენის, ძაბვით 25000 კოდტი. საქართველოს რეკინგზაზე კურსირებს მხოლოდ მუდმივი დენის ელმაგალი. კონსტრუქციისა და მკებავი წეარის მიხედვით ელმაგალს მოენიჭება კწ. სერია. სერიაში არსებული რეკინგზები მიუთითებენ დერძების რაო-

დენობასა და მკვებავი დენის სახეობას. ყოფილ საბჭოთა კავშირში გამოშვებული კველა სერიის კლმავალს პორნდა ასოთი გამოსახულება „BL“ – ვლადიმერ ლენინი. არსებული სერიის გამოსახულება „BL“ – ვლადიმერ ლენინი. არსებული სერიის გამოსახულება „BL“ – ვლადიმერ ლენინი.

BL8-დან BL18-მდე – მუდმივი დენის, ორსექციიანი, რვადერძიანი კლმავალი;

BL19-დან BL39-მდე – მუდმივი დენის, ერთსექციიანი, ექსლერძიანი კლმავალი;

BL40-დან BL59-მდე – ცვლადი დენის, ერთსექციიანი, ორხერძიანი კლმავალი;

BL60-დან BL79-მდე – ცვლადი დენის, ერთსექციიანი, ექსლერძიანი კლმავალი;

BL80-დან BL99-მდე – ცვლადი დენის, ორსექციიანი, რვადერძიანი კლმავალი.

ზოგადად, კლმავალი შედგება მექანიკური ნაწილისა და ელექტრული მოწყობილობისაგან. მექანიკურ ნაწილს მიეკუთხნება საფალი ნაწილი ანუ ურიკები, ასრა თავისი ჩარჩოთი, ავტოგადაბმულობა და სამუხრუცე მოწყობილობა. კლმავლის ელექტრომოწყობილობა შედგენს წევის ძრავები, დამხსარე მანქნები და ელექტრული აპარატები. კლმავლის წევის ძრავა დამაგრებულია კლმავლის თითოეული გოგორწყვილის ღერძზე. კბილარური გადაცემის საშუალებით, ძრავას მუშა მდგომარეობაში მოჟების დროს, გოგორწყვილი მოღის მოძრაობაში.

გადაცემის სახეობის მიხედვით თბომავალი შეიძლება იქის მექანიკური, პიდრავლიკური და ელექტრული გადაცემით. გადაცემის სახე ნიშავს თბომავლის დიხელის ძრავადან გოგორწყვილზე ენერგიის გადაცემის საშუალებას. თანამედროვე პირობებში თბომავალი მექანიკური გადაცემით თითქმის ადარ გენერირდა. ისევე როგორც კლმავალში, თბომავალშიც მახასიათებელი პარამეტრები

ასახულია მათ სერიაში. თბომავლის სერიის I ასო „T“, ნოშავს თბომავალს; II ასო – გადაცემის ტიპს; სერიის მესამე ასო აღნიშნავს სამსახურის ხასიათს, III – სამგზავრო, M – სამანვარო. სატგიროთ თბომავლის სერიაში, ორგორც წესი, III ასო არ არის. სერიაში შემავალი ციფრები აღნიშნავს მოცემული სერიის ვარიანტის ნომერს. მაგალითად, თბომავლის სერია T3 ნოშავს, რომ საქმე გვაქს სატგიროთ თბომავალთან (რაღაც სერიაში III ასო არ არის), კლებტრული გადაცემით (E) და სერიის ვარიანტის ნომერია 3. თბომავლის სერია TEP70 ნოშავს: T – თბომავალი, E – ელექტრული გადაცემა, П – სამგზავრო, 70 – სამოცდა-მეათე ვარიანტი. თბომავალი სერიით TGM-3 იშიფრება შემდეგნაირად: T – თბომავალი; Г – ჰიდრაულიკური გადაცემით, M – სამანვარო, 3 – მესამე ვარიანტი. უნდა აღინიშნოს, რომ მოვახდოს სერიები ეხება ძველი თაობის თბომავლებს; თანამედროვე, ახალი თაობის თბომავალის, ისევე როგორც კლმავალს, უშეებს საზღვარგარეულის ცნობილი მანქანათმშეებელი ფირმები, ისე, რომ მათი სერიები და ტექნიკური მასასიათუბლები განსხვავდება იქნება ძველი თაობის ლოცვობისგან. საჭროდ, უნდა ითქვას, რომ თბომავალი დღეისათვის წარმოადგენს წვეის პროგრესულ სახეობას: მას შეუძლია წყლის, დიხელის საწვავისა და ზეთის დამატების გარეშე 800-1000 კმ-ის გაუჩერებლად გავლა.


საჭართველოს რეკინგზაზე დღეისათვის ექსპლუატაციაშია თბილისის კლმავალმშეებელი ქარხნის (თემ) მიერ გამოშევებული ვლ-10 და ვლ-11 სერიის კლმავლები. უნდა აღინიშნოს, რომ ქვევინის დამოუკიდებლობის წლებში ქართველმა რეკინგზელტბმა შეძლებს თავიანთი ძალებით შექმნათ აღილობრივი პირობებისათვის მაქსიმალურად



ა)



ბ)



გ)

ნახ. 4.1. საქორთველოს რკინიგზაზე მოყინწკოონირე ელექტროგზი  
ზოგადი სახით. ა – ვლ-10; ბ – ვლ-11; გ – 4E1

მისაღები, ახალი ტიპის ელექტროგზი სერიით 4E-1. ეს ელ-  
მავალი ერთსექციიანია, 4 დერძით. მისი მასა შეადგენს 90  
ტ-ს, ხოლო კინსტუქციული სიჩქარე – 120 კმ/სთ-ს.  
ელმავალი სერიით 4E-1 განკუთვნილია ძირითადად სამგ-  
ზავრო გადაზიდვებისათვის, თუმცა საჭიროების შემთხვევ-

ვაში მისი გამოყენება სატეიროთ გადაზიდვებშიაც არის შესაძლებელი. საქართველოს რეინიგზაზე მოუწესებითი რე კლასიფიკაცია ზოგადი სახით, ნაწერებია 4.1 ნახ-ხე.

რაც შეეხება თბომავლებს, დღისათვის მათი გამოყენების საჭიროება საქართველოს რეინიგზაზე, როგორც სატეირო, ასევე სამგზავრო გადაზიდვებში, არ არის, თუ არ ჩავთვლით სამგზავრო გადაზიდვებში მომუშავე დაზელ-მატარებლების. საქართველოს რეინიგზაზე თბომავლები გამოიყენება მხოლოდ სამანგვრო მუშაობაში..

#### 4.13. სალოკომოტივო მეურნეობა

სალოკომოტივო მეურნეობა უზრუნველყოფს ლოკომოტივის მოვლა-შენახვას, შეკეთებასა და მათ მზადეოფნას დადგენილი ნორმების მიხედვით საექსპლუატაციო მუშაობის განსახორციელებლად.


სალოკომოტივო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ერთეულია **სალოკომოტივო დეპო**. როგორც წესი, სალოკომოტივო დეპო განლაგებულია საუბნო, დამხარისხე-ბეჭდ და სამგზავრო სადგურებში. დეპოს, რომელსაც აქვს თავისზე მიწერილი სალოკომოტივო პარტი სატეირო და სამგზავრო მატარებლის მომსახურებისათვის, შენობა-ნაგებობები, სახელონერიები და სხვა ტექნიკური საშუალებები ლოკომოტივთა მიმღინარე შეკეთების, ტექნიკური მომსახურებისა და ეკიპირებისათვის; **ძირითადი დეპო** ეწოდება. დეპოს, სადაც ხდება ლოკომოტივების მობრუნება და როგორც წესი, მათი ტექნიკური დათვალიერება და შეკეთება, შემხედვი მიმართულებით, ძირითადი დეპოსაკნ მატარებლის წამოყანა, **მოსამარუნებელი დეპო** ეწოდება. თუ მატარებელთა მოძრაობის ზომები მცირება, მაშინ მოსამარუნებელი დეპოს ნაცვლად, უფრო

ნაკლები ადჰერენცილობით, გამოიყენება მოსაბრუნებელი პუნქტი.

ლოკომოტივს ემსახურება სალოკომოტივო ბრიგადი, მემანქანისა და მისი თანაშემწის სახით. არსებობს ლოკომოტივით მატარებლის მომსახურების სამი ძირითადი სახეობა (ნახ. 4.2): ლოკომოტივის მომსახურება წევის მხარეზე, ლოკომოტივის მომსახურება წრიული მოძრაობისას და ლოკომოტივის მომსახურება წრიული მოძრაობისას წევის დაგრძელებულ მხრებზე. პირველ შემთხვევაში ლოკომოტივი ვ ძირითადი დეპოდან მოძრაობს A და C მოსაბრუნებელ დეპოშე და შემდეგ ბრიგადასთან ერთად ბრუნებული ძირითად დეპოში. მეორე შემთხვევაში ლოკომოტივი მოძრაობს წრეზე, ძირითად B დეპოს სადგურს გაივლის აუსენელად, ხოლო ბრიგადის შეცვლა ხდება სადგურებში, ტექნიკური დათვალიურება და ეკიპირება კი A და C მოსაბრუნებელ დეპოებში. მესამე შემთხვევაში ლოკომოტივი მოძრაობს მატარებელთან ერთად დიდ (დაგრძელებულ მხარეზე) წრეზე, რომლის დროსაც C, A და D სადგურებში ხდება ბრიგადების შეცვლა, ხოლო B და E მოსაბრუნებელ დეპოებში – მათი ტექნიკური დათვალიურება და ეკიპირება. განხილული სამი ვარანტიდან, ტექნიკურ-ეკონომიკური ოფალსაზრისით, უკეთესია მესამე ვარანტი.

როგორც წესი, სალოკომოტივო ბრიგადის მუშაობის ხანგრძლივობა 7–8 სათია, ცალკეულ შემთხვევებში, სამტარებლი დისპეჩერის ან ზემდგომი ხელმძღვანელობის მითითებით, შესაძლებელია ამ დროის განაგრძლებივება 12 სთ-მდვ. ოუ მუშაობის ხანგრძლივობა, ერთი მმართულებით აღმატება დაღგენილ ნორმას, მაშინ მობრუნების დეპოში ბრიგადამ უნდა დაისცენოს ნამუშევარი დროის არა ნაკლებ ნახევარი.

ლოკომოტივის ეკიპირებაში იგულისხმება მიხი  
მომარაგება აუცილებელი საცხებ-საპოხი და საწმენდი



ნახ. 4.2. ლოკომოტივთ მატარებელის მომსახურების გარიანტები.  
ა – მომსახურება წევის მსარზე; ბ – მომსახურება წრიული  
მოძრაობისას; გ – მომსახურება დაგრძელებულ წევის მსარზე  
წრიული მოძრაობისას

მასალებით. ძარითადი დეპოდან მოსაბრუნებელ დაპომდე  
ტრანსპორტირების პრიცესში შეუძლებელია შემოწმდეს  
ზოგიერთი მნიშვნელოვანი აგრეგატი ან სავალი ნაწილი.  
ამიტომ მოსაბრუნებელ დეპოში ეკიპირებასთან ერთად  
ხორციელდება ლოკომოტივის ტექნიკური დათვალიერება.  
გარდა ამისა, ლოკომოტივს უტარდება მიმდინარე შეკე-  
თება. ლოკომოტივის ექსპლუატაციაში ყოფნის დროის  
მიხედვით ასხვავებენ 3-3 სახის ტექნიკურ დათვალიე-  
რებასა (ტდ1, ტდ2, ტდ3) და მიმდინარე შეკეთებას (შშ1,  
შშ2, შშ3). გარდა აღნიშნულისა, არსებობს კიდევ ლოკო-  
მოტივის საშუალო და კაპტალური შეკეთება (სშ, კშ).

**ტრ1-ის** დროს ხორციელდება ცალკეული დეტალებისა და კვანძების შეზეოვა, შესუსტებული შექრობების გადაჭერა, საფალი ნაწილების მდგრადირების შემოწმება, წევის ძრავების ცაზუალური დათვალიერება და შემოწმება, სამუხრუჭო მოწყობილობის, ავტოგადამშულობის, აუმულაბორული ბატარეების, ხმოვანი სიგნალებისა და განათების სისტემის, ასევე სიფხიზლისა და რადიოკავშირის ააარატებისა და დენიძღებების დათვალიერება და შემოწმება. ეს პროცესი ხორციელდება სალოიმოტივო ბრიგადის მიერ, ლოკომოტივის ექსპლუატაციაში ყოფნის დროს და მისი მიღწეა-ჩაბარებისას. ტრ1-ის დროს ლოკომოტივი ირიცხება საექსპლუატაციო პარკში.

**ტრ2-ის** ჩატარებისას მაღალკალიფიციური ზეინკლუდი თხემატების ხელმძღვანელობით ახორციელებენ ტრ1-ით გათვალისწინებულ კველა თკერაციას. გარდა ამისა, ამოწმებენ კლემბრული ააარატების მუშაობის თანმიმდევრობას, გოგორწყვილების ბუქსების მდგრმარეობას, აკეტულაბორული ბატარეების მუშაობის ხარისხს. შეკუმშელი პაკირო ახდენენ ელექტრული მანქანების გამოქვეას. ტრ2 ტარდება 40–48 საათიანი ინტერვალით. ამ შემთხვევაშიც ლოკომოტივი ირიცხება საექსპლუატაციო პარკში.

**ტრ3-ის** დროს ზეინკლების კამპლექსური და სპეციალუზებული ბრიგადი ათვალიერებს ლოკომოტივს მოწერის ძირითად დეპოში. ამ დროს ტარდება კველა ის თკერაცია, რაც ტრ2-ის დროს; ამასთან, დამატებით მოწმდება: ელექტრული მანქანების მდგრმარეობა, საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი შეკეთება. იგივე პროცედურა ტარდება კლემბრული წრედებისა და აპარატების, სავალი ნაწილების ცალკეული დეტალებისა და მექანიზმების, დენიძღებების, ურიებების, გოგორწყვილების, ბუქსებისა და რესორული ჩამოკიდების მიმართ. ხდება სავალი ნაწილების

გამაგრება, აკუმულატორულ ბატარეიებში ელექტროლიტის სიმკრიფის შემოწმება და სხვ. ტდ3-ის დროს ლოკომოტიფით საექსპლუატაციო პარკში არ ირიცხება. ტდ3 ხორციელდება ლოკომოტიფის მიერ 11–14 ათასი კმ-ის გარბენის შემდეგ.

მიმდინარე შეკეთება მშ1 კველა შემთხვევაში ტარდება ლოკომოტიფის მიწერის ძირითად დეპოში. მშ2 და მშ3 ასევე ტარდება მიწერის დეპოში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეპო აღჭურვილია შესაბამისი სარემონტო სამქროვბით, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმდინარე შეკეთების აღნიშნული სახეობები ჩატარდება სპეციალიზებულ სარემონტო დეპოში. ლოკომოტიფის სატუშაოს ხასიათის მიხედვით ზემოთ აღნიშნული შეკეთების სახეობები ხორციელდება დაგენერილი ნორმატიული გარებების შესაბამისად: მშ1 – 14–28 ათასი, მშ2 – 165–200 ათასი და მშ3 – 330–400 ათასი კმ-ის გარებების შემდეგ.

**შპ1**-ის დროს (ყოფილი მცირე პერიოდული შეკეთება) ძირითადად ხორციელდება ტდ3-ით გათვალისწინებული ოპერაციები, მხოლოდ უფრო დიდი მოცულობითა და უფრო დაწვრილმანებულად.

**შპ2**-ის ჩატარებისას (ყოფილი დიდი პერიოდული შეკეთება) სრულად ხორციელდება მშ1-ით გათვალისწინებული სამუშაოები და კიდევ შემდეგი დამატებითი ოპერაციები: გოგორწყველის არტახების გაჩარჩევა ლოკომოტიფის ურაებდან გამოყორების გარეშე, ელექტრული და საფალი მიწყობილობების რევიზია და რემონტი.

**შპ3**-ის შემთხვევაში ხორციელდება მშ2-ით გათვალისწინებული კველა სატუშაო, ხოლო დამატებით ხორციელდება წევის ძრავებისა და დამსხმარე მანქანების საკისრების რევიზია, ურიკების გამოგორება ლოკომოტიფივიდან და მისი დეტალების რევიზია და რემონტი, აგუმუ-

დატორები ბატარეების ამოდება და შეკეთება; ელექტრული აპარატების დამონტაჟი და რემონტი.

**დოუკომოტივის საშუალო შეკეთება** ითვალისწინებს დოკომოტივიდან წევის ძრავების, ელექტრული მანქანების, ელექტროაპარატების მოხსნასა და მათ შეკეთებას. გაცვეთილი ნაწილების რემონტს (შემდებისდაგვარად) ან მათ შეცვლას; რესორული ჩამოყიდების დაშლასა და რემონტს; აკუმულატორული ბატარეების შეცვლას; დოკომოტივის შედებების შევნიდან და გარედან.

**დოუკომოტივის კამიტალური შეკეთება** ითვალისწინებს დოკომოტივის სრულ დაშლას, დფუვების გამოვლენას, დეტალების აღდენას, რემონტს ან გამოცვლას მთლიანად; დოკომოტივის კვლავ აწყობას, მის მუშა მდგრმარევიაში შემოწმებას, სასინჯ გარბენებასა და ლოკომოტივის სრულ წესრიგში მოყვანას შემდეგ კამიტალურ რემონტამდე.

